

საქართველოს მთავრობის

დადგენილება N

2021 წლის

ქ. თბილისი

ცხოველთა კვებაში გამოსაყენებელი ცხოველის საკვები დანამატების წესის

დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „ცხოველთა კვებაში გამოსაყენებელი ცხოველის საკვები დანამატების წესი“.

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის პირველი იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

ცხოველთა კვებაში გამოსაყენებელი ცხოველის საკვები დანამატების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. „ცხოველთა კვებაში გამოსაყენებელი ცხოველის საკვები დანამატების წესი“ (შემდეგში - წესი) ადგენს ადამიანის ჯანმრთელობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, გარემოს, მომხმარებლისა და გამომყენებლების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, ცხოველთა კვებაში გამოსაყენებელი ცხოველის საკვები დანამატებისა და პრემიქსების გამოყენებისა და ბაზარზე განთავსების, ასევე ეტიკეტირებისა და ზედამხედველობის წესებს.

2. ეს წესი არ გამოიყენება:

ა) ტექნოლოგიური დანამატების მიმართ;

ბ) „ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაციის, წარმოებისა და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 თებერვლის N112 დადგენილების შესაბამისად განმარტებულ ვეტერინარულ პრეპარატზე, გარდა ცხოველის საკვებ დანამატებად გამოყენებულ კოკციდიოსტატიკებისა და ჰისტომონოსტატიკებისა.

3. ამ წესით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს, კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომში - შემოსავლების სამსახური).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ამ წესის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს, აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ცხოველის საკვები** - ნებისმიერი **სუბსტანცია (ნივთიერება)** ან პროდუქტი, მათ შორის ცხოველის საკვები დანამატები, გადამუშავებული, ნაწილობრივ გადამუშავებული ან გადაუმუშავებელი, რომელიც გამიზნულია ცხოველის ორალური კვებისათვის;

ბ) **ბაზარზე პირველადი განთავსება** - ცხოველის საკვები დანამატის პირველი განთავსება ბაზარზე მისი წარმოების შემდეგ, ცხოველის საკვები დანამატის იმპორტი ან ცხოველის ისეთი საკვების ბაზარზე პირველად განთავსება, რომელშიც გამოყენებულია ცხოველის საკვები დანამატი, რომელიც არ ყოფილა მანამდე განთავსებული ბაზარზე;

გ) **ცხოველის საკვებთან დაკავშირებული საქმიანობა** - ნებისმიერი საქმიანობა, მოგებით თუ მოგების გარეშე, კერძო ან საჯარო, რომელიც დაკავშირებულია ცხოველის საკვების წარმოების, გადამუშავების, შენახვის, ტრანსპორტირების ან დისტრიბუციის ნებისმიერ ოპერაციასთან, მათ შორის ცხოველის საკვების ნებისმიერი მწარმოებელი, გადამამუშავებელი ან შემნახველი, რომელიც თავის სადგომში კვებას ცხოველებს;

დ) **ცხოველის საკვების ბიზნესოპერატორი** - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც პასუხისმგებელია უზრუნველყოს მის კონტროლს დაქვემდებარებული ცხოველის საკვებთან დაკავშირებული საქმიანობის ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ე) **ზაზარზე განთავსება** - ბიზნესოპერატორის მიერ ცხოველის საკვების რეალიზაციის მიზნით განთავსება, მათ შორის, გაყიდვის ან სხვა ფორმით გადაცემის შეთავაზება, სასყიდლით ან უსასყიდლოდ მიწოდება, რეალიზაცია, დისტრიბუცია და სხვა ფორმით მიწოდება;

ვ) **მიკვლევადობა** - ცხოველის საკვების, მასში გამოსაყენებლად განკუთვნილი ან სავარაუდოდ გამოყენებული ნებისმიერი ნივთიერების, შესახებ მონაცემებისა და ინფორმაციის დადგენის შესაძლებლობა მათი წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე;

ზ) **ცხოველის საკვები დანამატები** - **სუბსტანცია (ნივთიერებები)**, მიკროორგანიზმები ან პრეპარატები, გარდა ცხოველის საკვების მასალებისა და პრემიქსებისა, რომლებიც გამიზნულად ემატება ცხოველის საკვებს **ან/და** წყალს სხვადასხვა ფუნქციის, კერძოდ, ამ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ერთი ან მეტი ფუნქციის შესასრულებლად;

თ) **ცხოველის საკვების მასალა** - მცენარეული ან ცხოველური წარმოშობის ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი, ახალი ან დაკონსერვებული და საწარმოო გადამუშავებიდან მიღებული პროდუქტი, ორგანული ან არაორგანული **სუბსტანცია (ნივთიერება)**, მასში ცხოველის საკვები დანამატების შემცველობის მიუხედავად, რომელიც გამიზნულია ცხოველის ორალურ კვებაში გამოსაყენებლად, რათა დაკმაყოფილდეს ცხოველის ბუნებრივი მოთხოვნილება უშუალოდ ასეთი საკვებით, ან მათი გადამუშავების შემდეგ ან კომბინირებული საკვების მომზადებით ან პრემიქსების გადამტანით;

ი) **ცხოველის კომბინირებული საკვები** - ცხოველის საკვების მასალის არანაკლებ ორი შენარევი (მიუხედავად მასში ცხოველის საკვები დანამატების შემცველობისა), რომელიც გამოიყენება ცხოველის ორალურ კვებაში სრულყოფილი (დაბალანსებული) ან დამატებითი საკვების სახით;

კ) **ცხოველის დამატებითი საკვები** - ცხოველის კომბინირებული საკვები, რომელსაც გარკვეული ნივთიერებების მაღალი შემცველობა აქვს, მაგრამ მისი შემადგენლობის გამო დღიური რაციონისათვის საკმარისია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება სხვა საკვებთან ერთად;

ლ) **პრემიქსი** - ცხოველის საკვები დანამატების ნარევი ან ერთი ან მეტი ცხოველის საკვები დანამატის ნარევი ცხოველის საკვებ მასალასთან ან წყალთან, რომელიც გამოიყენება როგორც გადამტანი, რომელიც არ არის გათვალისწინებული ცხოველის პირდაპირი გამოყენებისთვის;

მ) **დღიური რაციონი** - ცხოველის საკვების საერთო საშუალო რაოდენობა, რომელიც გამოითვლება 12%-იანი ტენიანობის შემცველობისას და ყოველდღიურად საჭიროა მოცემული სახეობის, ასაკის და პროდუქტიულობის ცხოველისთვის, მისი ყველა საჭიროების დასაკმაყოფილებლად;

ნ) **სრულყოფილი (ბალანსირებული) საკვები** - ცხოველის კომბინირებული საკვები, რომელიც თავისი შემადგენლობით აკმაყოფილებს ცხოველის დღიურ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას;

ო) **ტექნოლოგიური დანამატი** - ნებისმიერი **სუბსტანცია (ნივთიერება)**, რომელიც უშუალოდ ცხოველის საკვებ პროდუქტად არ მოიხმარება, სპეციალურად გამოიყენება ცხოველის საკვები პროდუქტების ან ნივთიერებების გადამუშავების ან დამუშავებისას განსაზღვრული ტექნოლოგიური მიზნების მისაღწევად ან რომლის ნარჩენი რაოდენობა ან წარმოებულები შესაძლებელია საბოლოო პროდუქტში აღმოჩნდეს არაწინასწარგანზრახული, მაგრამ ტექნოლოგიურად გარდაუვალი რაოდენობით, იმ პირობით, რომ არ მოახდენს უარყოფით გავლენას ცხოველისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ან გარემოზე და არ ახდენს ტექნოლოგიურ ზეგავლენას საბოლოო პროდუქტზე (ცხოველის საკვებზე);

პ) ანტიმიკრობული საშუალებები - სინთეზურად ან ბუნებრივად წარმოქმნილი ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენება მიკროორგანიზმების, მათ შორის ბაქტერიების, ვირუსების ან სოკოების, ან პარაზიტების, კერძოდ, პროტოზოების, მოკვლის ან დათრგუნვის მიზნით;

ჟ) ანტიბიოტიკი - მიკროორგანიზმის მიერ წარმოებული ან მისგან მიღებული ანტიმიკრობული საშუალება, რომელიც კლავს ან თრგუნავს სხვა მიკროორგანიზმების ზრდას;

რ) კოკციდიოსტატი და ჰისტომონოსტატი - ნივთიერებები, რომლებიც კლავს ან თრგუნავს პროტოზოებს;

ს) ნაშთი ოდენობის მაქსიმალური ზღვარი - ცხოველის საკვებში დანამატის გამოყენების შედეგად ნაშთი ოდენობის (ნარჩენების) მაქსიმალური კონცენტრაცია, რომელიც დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით სურსათში/სურსათზე;

ტ) მიკროორგანიზმი - კოლონიის წარმომქმნელი მიკროორგანიზმები.

2. ამ წესის მიზნებისათვის ასევე გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით განსაზღვრული ტერმინები, თუ ამ წესით სხვაგვარად არ არის განმარტებული.

მუხლი 3. ბაზარზე განთავსება, გადამუშავება და გამოყენება

1. დაუშვებელია ცხოველის საკვები დანამატების ბაზარზე განთავსება, გადამუშავება (გარდა საექსპორტო წარმოებისა) ან გამოყენება, თუ:

ა) ცხოველის საკვები დანამატები არ არის ავტორიზებული ევროკავშირის მიერ და არ არის განსაზღვრული ამ წესის მე-7 მუხლით განსაზღვრულ რეესტრში;

ბ) არ არის დაცული ამ წესით განსაზღვრული გამოყენების პირობები, ამ წესის დანართი N3-ით „ცხოველის საკვები დანამატების გამოყენების ზოგადი პირობები“ განსაზღვრული ზოგადი პირობების ჩათვლით (თუ ავტორიზაციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული), და სუბსტანციის (ნივთიერება), ავტორიზაცია;

გ) არ სრულდება ამ წესით განსაზღვრული ეტიკეტირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

2. სამეცნიერო მიზნით ჩატარებული ექსპერიმენტებისთვის, სააგენტოს შეუძლია დაუშვას ცხოველის საკვები დანამატების სახით ისეთი ნივთიერებების გამოყენება, რომლებიც არ არის ავტორიზებული, გარდა ანტიბიოტიკებისა, იმ პირობით, რომ ექსპერიმენტები განხორციელდება სათანადო სახელმწიფო ზედამხედველობით. შესაბამისი ცხოველები შეიძლება გამოყენებულ იქნას სურსათის წარმოებისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო დაადგენს, რომ ეს არავითარ უარყოფით გავლენას არ მოახდენს ცხოველთა ჯანმრთელობაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე.

3. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ნებადართულია თითოეული ცალკეული ცხოველის საკვები დანამატის ავტორიზაციაში მითითებული გამოყენების პირობების დაცვით იმ დანამატების შერევა, რომელიც პირდაპირ უნდა გაიყიდოს საბოლოო გამომყენებელზე. შესაბამისად, ავტორიზებული დანამატების შერევა არ ექვემდებარება სპეციფიკურ ავტორიზაციას.

მუხლი 4. ავტორიზაციასთან დაკავშირებული პირობები

1. ცხოველის საკვები დანამატი უნდა აკმაყოფილებდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტითა და ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებსა და მახასიათებლებს.

2. ცხოველის საკვები დანამატები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ცხოველის საკვებ დანამატმა არ უნდა იქონიოს უარყოფითი გავლენა ცხოველთა ჯანმრთელობაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე ან გარემოზე;

ბ) ცხოველის საკვები დანამატი არ უნდა იყოს წარმოდგენილი ისე, რომ გამოყენებელი შეცდომაში შეიყვანოს;

გ) ცხოველის საკვებ დანამატმა არ უნდა მიაყენოს ზიანი მომხმარებელს ცხოველური პროდუქტის დამახასიათებელი მახასიათებლების გაუარესებით ან შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი ცხოველური პროდუქტის დამახასიათებელი მახასიათებლებით.

3. ცხოველის საკვები დანამატი:

ა) დადებითად მოქმედებს ცხოველის საკვების მახასიათებლებზე;

ბ) დადებითად მოქმედებს ცხოველური პროდუქტების მახასიათებლებზე;

გ) დადებითად მოქმედებს დეკორატიული თევზისა და ფრინველის ფერზე;

დ) აკმაყოფილებს ცხოველების კვებით საჭიროებებს;

ე) დადებითად მოქმედებს მეცხოველეობის სექტორიდან წარმოშობილი შედეგები გარემოზე;

ვ) დადებითად მოქმედებს ცხოველების წარმოებაზე, საქმიანობაზე ან კეთილდღეობაზე, განსაკუთრებით კუჭ-ნაწლავის ფლორაზე ან ცხოველის საკვების მონელებადობაზე;

ზ) ან ხასიათდება კოკციდიოსტატიკური ან ჰისტომონოსტატიკური ეფექტით.

4. დაუშვებელია ანტიბიოტიკების, გარდა კოკციდიოსტატებისა და ჰისტომონოსტატებისა, ცხოველის საკვებ დანამატებად ავტორიზაცია.

მუხლი 5. ცხოველის საკვები დანამატების კატეგორიები

1. ცხოველის საკვები დანამატი მიეკუთვნება ამ პუნქტით განსაზღვრული კატეგორიებიდან ერთს ან რამდენიმეს, მისი ფუნქციებისა და თვისებების გათვალისწინებით:

ა) ტექნოლოგიური დანამატები: ნებისმიერი სუბსტანცია (ნივთიერება), რომელიც ტექნოლოგიური მიზნით ემატება ცხოველის საკვებს;

ბ) სენსორული დანამატები: ნებისმიერი სუბსტანცია (ნივთიერება), რომლის დამატება ცხოველის საკვებში აუმჯობესებს ან ცვლის ცხოველის საკვების ორგანოლეპტიკურ მახასიათებლებს ან ცხოველებისგან მიღებული სურსათის ვიზუალურ მახასიათებლებს;

გ) ნუტრიციული (კვებითი) დანამატები;

დ) ზოოტექნიკური დანამატები: ნებისმიერი დანამატი, რომლის მიზანია ცხოველების ჯანმრთელობასა ან გარემოზე დადებითი ზეგავლენის მოხდენა;

ე) კოკციდიოსტატები და ჰისტომონოსტატები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კატეგორიების მიხედვით, ცხოველის საკვები დანამატები ნაწილდება ამ წესის დანართში N1 „ცხოველის საკვები დანამატების ჯგუფები“ აღნიშნულ ერთ ან რამდენიმე ფუნქციურ ჯგუფში, მათი ძირითადი ფუნქციის ან ფუნქციების შესაბამისად.

მუხლი 6. პრემიქსისა და ცხოველის საკვები დანამატების ეტიკეტირება და შეფუთვა

1. დაუშვებელია ბაზარზე ცხოველის საკვები დანამატის ან საკვები დანამატების პრემიქსის განთავსება, თუ მისი შეფუთვა ან კონტეინერი არ არის ეტიკეტირებული მწარმოებლის, შემფუთავის, იმპორტიორის, გამყიდველის ან დისტრიბუტორის პასუხისმგებლობით და არ არის დემონსტრირებული ქართულ ენაზე თვალსაჩინო ადგილას შემდეგი ინფორმაცია, რომელიც ნათლად იკითხება და ადვილად არ იშლება მასალის შემადგენლობაში შემავალ თითოეულ დანამატთან მიმართებაში:

ა) სპეციფიკური დასახელება, რომელიც ენიჭება ცხოველის საკვებ დანამატს ავტორიზაციის საფუძველზე, წინ უძღვის ფუნქციური ჯგუფის დასახელებას, როგორც ეს ავტორიზაციაშია ნახსენები;

ბ) პირის სახელი/საფირმო დასახელება და მისამართი ან საქმიანობის განმახორციელებელი პირის იურიდიული მისამართი, რომელიც პასუხისმგებელია ამ მუხლში მოცემულ დეტალებზე;

გ) სუფთა წონა ან თხევადი ცხოველის საკვები დანამატისა და პრემიქსის შემთხვევაში, სუფთა მოცულობა ან წონა;

დ) საჭიროების შემთხვევაში, აღიარების ნომერი, რომელიც მინიჭებული აქვს ცხოველის საკვები დანამატის ან პრემიქსის მწარმოებელს ან ბაზარზე განმთავსებელს „ცხოველის საკვების ჰიგიენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის N173 დადგენილების შესაბამისად ან სარეგისტრაციო ნომერი;

ე) გამოყენების ინსტრუქციები და ნებისმიერი უსაფრთხოების რეკომენდაციები გამოყენების შესახებ და, საჭიროების შემთხვევაში, ავტორიზაციაში მითითებული სპეციფიკური მოთხოვნები, მათ შორის ცხოველთა სახეობები და კატეგორიები, რომელთათვისაც გამიზნულია ცხოველის საკვები დანამატი ან დანამატების პრემიქსი;

ვ) საიდენტიფიკაციო ნომერი;

ზ) პარტიის ნომერი და წარმოების თარიღი;

თ) პრემიქსების შემთხვევაში ამ პუნქტის „ბ“, „დ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება პრემიქსების შემადგენელ დანამატებზე.

2.არომატიზატორებისთვის, ცხოველის საკვები დანამატების ჩამონათვალი შეიძლება შეიცვალოს სიტყვებით "არომატიზატორების ნარევი". ეს არ შეეხება არომატიზატორებს, რომლებიც რაოდენობრივ შეზღუდვას ექვემდებარება ცხოველის საკვებში და სასმელ წყალში გამოყენებისას.

3. ამ წესის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის გარდა, ამ წესის დანართი N2-ით „ეტიკეტირების სპეციალური მოთხოვნები ზოგიერთი ცხოველის საკვები დანამატებისა და პრემიქსისთვის“ განსაზღვრულ ფუნქციურ ჯგუფს მიკუთვნებული ცხოველის საკვები დანამატის

შეფუთვა ან კონტეინერი უნდა შეიცავდეს ამ დანართში მითითებულ ინფორმაციას თვალსაჩინო ადგილას, უნდა იყოს მკაფიოდ მითითებული და არ უნდა იყოს წაშლადი.

4. პრემიქსის შემთხვევაში, ეტიკეტზე მკაფიოდ უნდა იქნეს მითითებული სიტყვა "პრემიქსი" (შედარებით დიდი ზომის ასოებით) და დეკლარირებული უნდა იქნეს გადამტანი ნივთიერება „ცხოველის საკვების გამოყენებისა და ბაზარზე განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 თებერვლის N 58 დადგენილების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად. პრემიქსის სინესტის შემცველობა უნდა იქნეს დეკლარირებული თუ გადამტანად გამოყენებულია წყალი. მხოლოდ შენახვის ერთი მინიმალური ვადა შეიძლება იქნეს გამოყენებული თითოეულ პრემიქსზე, როგორც ერთიანზე. ასეთი შენახვის მინიმალური ვადა უნდა დადგინდეს პრემიქსის თითოეული კომპონენტის შენახვის მინიმალური ვადის საფუძველზე.

5. ცხოველის საკვები დანამატისა და პრემიქსის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს მხოლოდ დახურულ შეფუთვებში ან დახურულ ჭურჭელში/კონტეინერში/ტარაში, რომლებიც უნდა დაიხუროს ისე, რომ გახსნისას შესაკრავი დაზიანდეს და შეუძლებელი იქნეს მისი ხელახალი გამოყენება.

6. ტექნოლოგიური წინსვლისა და სამეცნიერო განვითარების გათვალისწინების შესაბამისად შეიძლება ცვლილებები იქნეს შეტანილი ამ წესის დანართ N2-ში.

7. ეტიკეტირების სავალდებულო მონაცემების ქართულ ენაზე განთავსების ვალდებულება არ ვრცელდება იმპორტისას. ამ შემთხვევაში, ბიზნესოპერატორი ვალდებულია, ქართულ ენაზე ეტიკეტირება უზრუნველყოს ბაზარზე განთავსების შემდგომი ეტაპის განხორციელებამდე.

მუხლი 7. რეესტრი

ცხოველის საკვები დანამატების რეესტრი ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: https://ec.europa.eu/food/safety/animal-feed/feed-additives/eu-register_en

მუხლი 8. შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილებები ცხოველის საკვები დანამატის კონტროლთან დაკავშირებით

1. ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლს დაქვემდებარებული ცხოველური წარმოშობის ცხოველის საკვები დანამატები, ვეტერინარული კონტროლის პროცედურებთან ერთად, საქართველოში იმპორტის დროს ექვემდებარება ამ წესთან შესაბამისობის კონტროლს.

2. ცხოველის საკვები დანამატები, რომლებიც არ არის ცხოველური წარმოშობის და კლასიფიცირდება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე ჯგუფში ან სეს ესნ 230990 კოდში, საქართველოში იმპორტის დროს ექვემდებარება ამ წესის მე-7 მუხლით განსაზღვრულ რეესტრში ავტორიზაციის სტატუსის შემოწმებას. შემოწმების სიხშირე განისაზღვრება რისკების მართვის სისტემაზე დაყრდნობით.

მუხლი 9. პასუხისმგებლობა

ამ წესით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ცხოველის საკვები დანამატების ჯგუფები

1. ტექნოლოგიური დანამატების კატეგორია მოიცავს შემდეგ ფუნქციურ ჯგუფებს:

ა) კონსერვანტი: ნივთიერება ან, საჭიროების შემთხვევაში, მიკროორგანიზმები, რომელიც იცავს ცხოველის საკვებს მიკროორგანიზმების ან მათი მეტაბოლიტებით გამოწვეული გაფუჭებისაგან;

ბ) ანტიოქსიდანტები: ნივთიერება, რომელიც იცავს ცხოველის საკვებს და ცხოველის საკვების მასალას ჟანგვითი პროცესებით გამოწვეული გაფუჭებისაგან და ახანგრძლივებს მისი ვარგისიანობის ვადას;

გ) ემულგატორები: ნივთიერება, რომლის საშუალებით შესაძლებელია ჰომოგენური ნარევის წარმოქმნა ან შენარჩუნება ორი ან მეტი ისეთი ფაზისაგან, რომელთა შერევა არ ხდება;

დ) სტაბილიზატორები: ნივთიერება, რომლის საშუალებით შესაძლებელია ცხოველის საკვების ქიმიური და ფიზიკური მდგომარეობის შენარჩუნება;

ე) შემასქელებლები: ნივთიერება, რომელიც ზრდის ცხოველის საკვების სიბლანტეს;

ვ) ჟელეს წარმომქმნელი აგენტი: ნივთიერება, რომელიც გელის (ლაბის) წარმოქმნის გამო ცხოველის საკვებს აძლევს ტექსტურას;

ზ) შემკვრელები: ნივთიერებები, რომლებიც ზრდის ცხოველის საკვების ნაწილაკების შეწებების უნარს;

თ) ნივთიერებები რადიონუკლიდური დაბინძურების კონტროლისთვის: ნივთიერებები, რომლებიც თრგუნავენ რადიონუკლიდების შეწოვას ან ხელს უწყობენ მათ ექსკრეციას;

ი) შეწებების (შეკოშტვის) საწინააღმდეგო აგენტი: ნივთიერება, რომელიც აფერხებს ცხოველის საკვების ცალკეული ნაწილაკების ერთმანეთთან შეწებებას;

კ) მჟავიანობის რეგულატორი – ნივთიერება, რომელიც არეგულირებს pH (მჟავიანობას (სიმჟავეს) ან ტუტეიანობას) ცხოველის საკვებში;

ლ) სილოსის დანამატები: ნივთიერებები, მათ შორის ფერმენტები ან მიკროორგანიზმები, რომლებიც გამიზნულია ცხოველის საკვებში შესატანად, სილოსის წარმოების გასაუმჯობესებლად;

მ) დენატურაციის გამომწვევები: ნივთიერებები, რომლებიც გადამუშავებული ცხოველის საკვების წარმოებაში გამოყენებისას, კონკრეტული სურსათის ან ცხოველის საკვების მასალის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა;

ნ) ნივთიერებები ცხოველის საკვების მიკოტოქსინებით დაბინძურების შემცირებისათვის: ნივთიერებები, რომელთაც შეუძლიათ შეწოვის შესუსტება ან შემცირება, ხელი შეუწყონ მიკოტოქსინების ექსკრეციას ან მათი მოქმედების რეჟიმის შეცვლას;

ო) ჰიგიენის მდგომარეობის გამაუმჯობესებლები: ნივთიერებები ან, საჭიროების შემთხვევაში მიკროორგანიზმები, რომლებიც დადებით გავლენას ახდენენ ცხოველის საკვების ჰიგიენურ მახასიათებლებზე, კონკრეტული მიკრობიოლოგიური დაბინძურების შემცირებით;

პ) სხვა ტექნოლოგიური დანამატები: ნივთიერებები ან საჭიროების შემთხვევაში მიკროორგანიზმები, რომლებიც ტექნოლოგიური მიზნებისათვის ემატება ცხოველის საკვებს და დადებითად მოქმედებს ცხოველის საკვების მახასიათებლებზე.

2. სენსორული დანამატების კატეგორია მოიცავს შემდეგ ფუნქციურ ჯგუფებს:

ა) საღებავები:

ა.ა) ნივთიერებები, რომლებიც უმატებს (აძლიერებს) ან ადადგენს ფერს ცხოველის საკვებში;

ა.ბ) ნივთიერება, რომლებითაც თუ კვებავენ ცხოველს, უმატებს (აძლიერებს) ცხოველური წარმოშობის სურსათის ფერს;

ა.გ) ნივთიერება, რომელიც დადებითად მოქმედებს დეკორატიული თევზის ან ფრინველის ფერზე;

ბ) არომატიზატორები: ნივთიერება, რომელიც აძლიერებს ცხოველის საკვების გემოს და/ან არომატს.

3. ნუტრიციული (კვებითი) დანამატების კატეგორია მოიცავს შემდეგ ფუნქციურ ჯგუფებს:

ა) ვიტამინები და პროვიტამინები, ასევე ანალოგიური მოქმედების მქონე მკაფიოდ განსაზღვრული ქიმიური სტრუქტურის ნივთიერებები;

ბ) კვალის ელემენტების ნაერთები;

გ) ამინომჟავები, მათი მარილები და ანალოგები;

დ) შარდოვანა და მისი დერივატები.

4. ზოოტექნიკური დანამატების კატეგორია მოიცავს შემდეგ ფუნქციურ ჯგუფებს:

ა) მონელების გამაძლიერებლები - ნივთიერებები, რომელთაც ახასიათებთ ცხოველის საკვების მასალაზე მიზნობრივი მოქმედება და მათი გამოყენება ზრდის საკვების შეთვისებას;

ბ) ნაწლავის ფლორის სტაბილიზატორები - მიკროორგანიზმები ან განსაზღვრული სტრუქტურის მქონე ნივთიერებები, რომლებიც ცხოველზე მიცემის შემთხვევაში დადებითად მოქმედებენ ცხოველის ნაწლავის მიკროფლორაზე;

გ) ნივთიერებები, რომლებიც დადებითად მოქმედებენ გარემოზე;

დ) სხვა ზოოტექნიკური დანამატები;

ე) ფიზიოლოგიური მდგომარეობის სტაბილიზატორები: ნივთიერებები ან, საჭიროების შემთხვევაში მიკროორგანიზმები, რომლებითაც თუ ჯანმრთელ ცხოველებს კვებავენ, დადებით გავლენას ახდენს მათ ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე, მათ შორის, სტრესული ფაქტორების მიმართ მედეგობაზე.

ნაწილი I

ეტიკეტირების სპეციალური მოთხოვნები ზოგიერთი ცხოველის საკვები დანამატებისა და პრემიქსისათვის

ა) ზოოტექნიკური დანამატების, კოკციდიოსტატების და ჰისტომონოსტატების შემთხვევაში ეტიკეტზე უნდა მიეთითოს:

- ა.ა) გარანტიის მოქმედების ვადა ან შენახვის ვადა წარმოების დღიდან;
- ა.ბ) მითითებები გამოყენების შესახებ;
- ა.გ) კონცენტრაცია;

ბ) ფერმენტების შემთხვევაში, „ა“ პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად ეტიკეტზე მიეთითება:

ბ.ა) აქტიური კომპონენტის ან კომპონენტების სპეციფიკური დასახელება მათი ფერმენტული მოქმედების შესაბამისად, გაცემული ავტორიზაციის თანახმად;

ბ.ბ) ბიოქიმიის საერთაშორისო კავშირის საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ.გ) კონცენტრაციის ნაცვლად: აქტივობის ერთეულები (აქტივობის ერთეული გრამზე ან აქტივობის ერთეული მილილიტრზე);

გ) მიკროორგანიზმების შემთხვევაში ეტიკეტზე უნდა მიეთითოს:

გ.ა) გარანტიის ვადის გასვლის თარიღი ან შენახვის ვადა წარმოების დღიდან;

გ.ბ) მითითებები გამოყენების შესახებ;

გ.გ) შტამის საიდენტიფიკაციო ნომერი;

გ.დ) კოლონიის წარმომქმნელი ერთეულების რაოდენობა გრამზე;

დ) ნუტრიციული (კვებითი) დანამატები:

დ.ა) აქტიური ნივთიერების შემცველობა;

დ.ბ) ამ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემცველობის გარანტიის ან შენახვის ვადის გასვლის თარიღი წარმოების დღიდან;

ე) ტექნოლოგიური და სენსორული დანამატები, გარდა არომატიზატორებისა:

ე.ა) აქტიური ნივთიერების შემცველობა;

ვ) არომატიზატორები:

ვ.ა) პრემიქსების წილი

ნაწილი II

ეტიკეტირების დამატებითი და საინფორმაციო მოთხოვნები ცხოველის ზოგიერთი საკვები დანამატისთვის, რომელიც შედგება პრეპარატებისგან ან პრეპარატების შემცველი პრემიქსებისგან

1. ცხოველის საკვები დანამატები, რომლებიც მიეკუთვნება ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტის და „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ კატეგორიებს და შედგება პრეპარატებისგან:

ა) უნდა მიეთითოს სპეციფიკური დასახელება შეფუთვაზე ან კონტეინერზე, ასევე საიდენტიფიკაციო ნომერი და ნებისმიერი ტექნოლოგიური დანამატის შემცველობა (რაოდენობა), რომელიც შეიცავს პრეპარატს, რომლისთვისაც შესაბამისი ავტორიზაციით დადგენილია მაქსიმალური შემცველობა;

ბ) თან უნდა ახლდეს პრეპარატის შესახებ ნებისმიერი წერილობითი საშუალებით შემდეგი ინფორმაცია:

ბ.ა) სპეციფიკური დასახელება და ნებისმიერი ტექნოლოგიური დანამატის საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელსაც შეიცავს პრეპარატი;

ბ.ბ) პრეპარატში შემავალი ნებისმიერი სხვა ნივთიერების ან პროდუქტის დასახელება, წონის კლებადობის მიხედვით.

2. პრემიქსები, რომლებიც შეიცავს ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ცხოველის საკვებ დანამატების კატეგორიებს და შედგება პრეპარატებისგან უნდა მიეთითოს:

ა) საჭიროების შემთხვევაში, შეფუთვაზე ან კონტეინერზე, რომ პრემიქსი შეიცავს ტექნოლოგიურ დანამატებს, რომლებიც შედის დანამატების პრეპარატებში, რომელთათვისაც მაქსიმალური შემცველობა განსაზღვრულია შესაბამის ავტორიზაციაში;

ბ) შემსყიდველის ან გამომყენებლის თხოვნის საფუძველზე, ინფორმაცია კონკრეტული სახელის, საიდენტიფიკაციო ნომრის შესახებ და ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ტექნოლოგიური დანამატების, რომლებიც შედის დანამატების პრეპარატებში, შემცველობა.

დანართი N3

ცხოველის საკვები დანამატების გამოყენების ზოგადი პირობები

1. ცხოველის საკვები დანამატების რაოდენობა, რომლებიც ბუნებრივ მდგომარეობაშიც არსებობს ცხოველის საკვებ ზოგიერთ მასალებში, უნდა გაანგარიშდეს ისე, რომ დამატებული ელემენტების ჯამური რაოდენობა და ბუნებრივად არსებული ელემენტები არ აღემატებოდეს ავტორიზაციის დებულებით გათვალისწინებულ მაქსიმალურ დონეს.

2. ცხოველის საკვები დანამატების შერევა დასაშვებია მხოლოდ პრემიქსსა და ცხოველის საკვებში, სადაც ნარევის კომპონენტებს შორის არსებობს ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური თავსებადობა სასურველ ეფექტებთან მიმართებაში.

3. მოთხოვნის შესაბამისად განზავებული ცხოველის დამატებითი საკვები, არ შეიძლება შეიცავდეს ცხოველის საკვებ დანამატების იმ რაოდენობას, რომელიც აღემატება ცხოველის სრულყოფილ (ბალანსირებულ) საკვებისთვის დადგენილს.

4. პრემიქსის შემთხვევაში, რომელიც შეიცავს „სილოსის დანამატებს“ ეტიკეტზე ”პრემიქსი“ - ის შემდეგ თვალსაჩინოდ უნდა დაემატოს სიტყვები ”სილოსის დანამატები“.

5. ტექნოლოგიური დანამატები ან სხვა ნივთიერებები ან პროდუქტები, რომლებიც შეიცავენ ცხოველის საკვების დანამატებს, რომლებიც შედგება პრეპარატებისგან, უნდა მოახდინოს მხოლოდ პრეპარატის აქტიური ნივთიერების ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლების მოდიფიცირება და გამოიყენებოდეს მათი ავტორიზაციის პირობების შესაბამისად, სადაც ასეთი მითითებაა მოცემული. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პრეპარატის კომპონენტებს შორის ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური თავსებადობა სასურველ ეფექტთან მიმართებაში.

განმარტებითი ბარათი

„ცხოველთა კვებაში გამოსაყენებელი ცხოველის საკვები დანამატების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე

ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტი ითვალისწინებს „ცხოველთა კვებაში გამოსაყენებელი ცხოველის საკვები დანამატების წესის“ დამტკიცებას, რომელიც ადგენს ადგენს ადამიანის ჯანმრთელობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, გარემოს, მომხმარებლისა და გამომყენებლების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, ცხოველთა კვებაში გამოსაყენებელი ცხოველის საკვები დანამატებისა და პრემიქსების გამოყენებისა და ბაზარზე განთავსების, ასევე ეტიკეტირებისა და ზედამხედველობის წესებს.

ამ წესით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს, კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომში - შემოსავლების სამსახური).

წესი არეგულირებს ცხოველის საკვები დანამატების ბაზარზე განთავსებას, გადამუშავებასა და გამოყენებას. აღსანიშნავია, რომ დაუშვებელია ისეთი საკვები დანამატების გამოყენება, რომელიც არ იქნება ავტორიზებული ევროკავშირის მიერ და შეტანილი ამ წესით განსაზღვრულ რეესტრში, ასევე თუ საკვები დანამატები არ დააკმაყოფილებს ამ წესით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებს. ამასთან, სამეცნიერო მიზნით ჩატარებული ექსპერიმენტებისთვის, სააგენტოს შეუძლია დაუშვას ცხოველის საკვები დანამატების სახით ისეთი ნივთიერებების გამოყენება, რომლებიც არ არის ავტორიზებული, გარდა ანტიბიოტიკებისა, იმ პირობით, რომ ექსპერიმენტები განხორციელდება სათანადო სახელმწიფო ზედამხედველობით. შესაბამისი ცხოველები შეიძლება გამოყენებულ იქნას სურსათის წარმოებისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო დაადგენს, რომ ეს არავითარ უარყოფით გავლენას არ მოახდენს ცხოველთა ჯანმრთელობაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე. ავტორიზაციასთან დაკავშირებული პირობები პროექტის მე-4 მუხლში.

პროექტის მე-5 მუხლში მოცემულია საკუთრივ ცხოველის საკვების დანამატების კატეგორიები, რომელიც მოიცავს: ტექნოლოგიურ, სენსორულ, ნუტრიციულ, ზოოტექნიკურ დანამატებსა და კოკციდიოსტატებსა და ჰისტომონოსტატებს.

ეს წესი, ასევე განსაზღვრავს პრემიქსისა და ცხოველის საკვები დანამატების ეტიკეტირებასა და შეფუთვასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ

პროექტის მომზადება განპირობებულია „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებით. კერძოდ, ზემოაღნიშნული შეთანხმების განუყოფელი ნაწილია „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ შეთანხმება (DCFTA) რომლის მე-4 თავის თანახმად, საქართველოს მიერ უნდა განხორციელდეს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროების მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამ მიზნით საქართველოს მიერ DCFTA-ის ძალაში შესვლის შემდეგ მომზადდა იმ რეგულაციების და დირექტივების ჩამონათვალი,

რომლებთანაც უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება (DCFTA -ის მე-4 თავი, სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები, დანართი XI-B). მათ შორის არის **Regulation (EC) No 1831/2003 of the European Parliament and of the Council of 22 September 2003 on additives for use in animal nutrition**.

„ცხოველთა კვებაში გამოსაყენებელი ცხოველის საკვები დანამატების წესი“ (შემდეგში - წესი) ადგენს ადამიანის ჯანმრთელობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, გარემოს, მომხმარებლისა და გამომყენებლების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, ცხოველთა კვებაში გამოსაყენებელი ცხოველის საკვები დანამატებისა და პრემიქსების გამოყენებისა და ბაზარზე განთავსების, ასევე ეტიკეტირებისა და ზედამხედველობის წესებს. ეს წესი არ ვრცელდება ტექნოლოგიური დანამატების მიმართ და „ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაციის, წარმოებისა და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 თებერვლის N112 დადგენილების შესაბამისად განმარტებულ ვეტერინარულ პრეპარატზე, გარდა ცხოველის საკვებ დანამატებად გამოყენებულ კოკციდიოსტატიკებისა და ჰისტომონოსტატიკებისა.

პროექტის თანახმად, დაუშვებელია ცხოველის საკვები დანამატების ბაზარზე განთავსება, გადამუშავება (გარდა საექსპორტო წარმოებისა) ან გამოყენება, თუ ცხოველის საკვები დანამატები არ არის ავტორიზებული ევროკავშირის მიერ და არ არის განსაზღვრული ამ წესის მე-7 მუხლით განსაზღვრულ რეესტრში, ასევე არ არის დაცული ამ წესით განსაზღვრული გამოყენების პირობები და არ სრულდება ამ წესით განსაზღვრული ეტიკეტირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

პროექტი განსაზღვრავს ავტორიზაციასთან დაკავშირებულ პირობებს, ასევე პრემიქსისა და ცხოველის საკვები დანამატების ეტიკეტირებისა და შეფუთვის პროცედურებს. აღსანიშნავია, რომ ეტიკეტირების სავალდებულო მონაცემების ქართულ ენაზე განთავსების ვალდებულება არ ვრცელდება იმპორტისას. ამ შემთხვევაში, ბიზნესოპერატორი ვალდებულია, ქართულ ენაზე ეტიკეტირება უზრუნველყოს ბაზარზე განთავსების შემდგომი ეტაპის განხორციელებამდე.

პროექტი ასევე განსაზღვრავს იმპორტის განხორციელების პირობებს, კერძოდ ჯანმრთელობის მოთხოვნებს იმპორტირებული ტვირთისა და თანმდევი ჯანმრთელობის სერტიფიკატის შედგენის წესსა და შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილებებს ცხოველის საკვები დანამატის კონტროლთან დაკავშირებით, კერძოდ ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლს დაქვემდებარებული ცხოველური წარმოშობის ცხოველის საკვები დანამატები, ვეტერინარული კონტროლის პროცედურებთან ერთად, საქართველოში იმპორტის დროს ექვემდებარება ამ წესთან შესაბამისობის კონტროლს. ამასთან, ცხოველის საკვები დანამატები, რომლებიც არ არის ცხოველური წარმოშობის და კლასიფიცირდება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე ჯგუფში ან სეს ესნ 230990 კოდში, საქართველოში იმპორტის დროს ექვემდებარება ამ წესის მე-7 მუხლით განსაზღვრულ რეესტრში ავტორიზაციის სტატუსის შემოწმებას. შემოწმების სიხშირე განისაზღვრება რისკების მართვის სისტემაზე დაყრდნობით.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

პროექტი მომზადებულია **Regulation (EC) No 1831/2003 of the European Parliament and of the Council of 22 September 2003 on additives for use in animal nutrition** შესაბამისად, რომელიც ადგენს ადამიანის ჯანმრთელობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, გარემოს, მომხმარებლისა და

გამომყენებლების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, ცხოველთა კვებაში გამოსაყენებელი ცხოველის საკვები დანამატებისა და პრემიქსების გამოყენებისა და ბაზარზე განთავსების, ასევე ეტიკეტირებისა და ზედამხედველობის წესებს.

პროექტის გავლენა ბავშვთა სამართლებრივ მდგომარეობაზე

პროექტი გავლენას არ იქონიებს ბავშვთა სამართლებრივ მდგომარეობაზე.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე, არ მოითხოვს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

პროექტის მიხედვით, დადგინდება ადამიანის ჯანმრთელობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, გარემოს, მომხმარებლისა და გამომყენებლების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, ცხოველთა კვებაში გამოსაყენებელი ცხოველის საკვები დანამატებისა და პრემიქსების გამოყენებისა და ბაზარზე განთავსების, ასევე ეტიკეტირებისა და ზედამხედველობის წესები.

პროექტის განხორციელების ვადები

პროექტი ამოქმედდება **2024 წლის პირველი იანვრიდან**. ამოქმედებისთვის გარდამავალი პერიოდის დაწესება განპირობებულია იმით, რომ იმ სუბიექტებს, რომლებზეც გავრცელდება აქტის მოქმედება მიეცეთ სათანადო დრო, რათა მოემზადონ ახალი მოთხოვნებისთვის.

ამასთან, ზემოაღნიშნული XI-B დანართის მიზნებისთვის, მითითებული ვადები უკავშირდება კანონმდებლობის დამტკიცებას (დაახლოვება), ხოლო მისი ამოქმედების (იმპლემენტაციის) საკითხი დამოკიდებულია ქვეყნის და კერძო სექტორის მზად ყოფნაზე. თავად შეთანხმების XI-A დანართი ახდენს აღნიშნული ტერმინების (დაახლოვება/იმპლემენტაცია) გამიჯვნას ერთმანეთისგან. კერძოდ, აღნიშნული დანართის მიხედვით, ქართულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს დაახლოებული ეროვნული კანონმდებლობის ეფექტიანი იმპლემენტაცია. თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ დაახლოვება გულისხმობს კანონმდებლობის იმპლემენტაციასაც და ის ვადები, რომლებიც მოცემულია XI-B დანართში, უკავშირდება კანონმდებლობის იმპლემენტაციას, გაურკვეველია ამავე შეთანხმების ზემოაღნიშნული ქვეპუნქტის სამართლებრივი დატვირთვა (დაახლოვებული კანონმდებლობის იმპლემენტაცია).

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასოცირების შეთანხმების საფუძველზე შექმნილი სანიტარიული და ფიტოსანიტარიული SPS ქვეკომიტეტის შეხვედრებზე, რომლის ფარგლებშიც საქართველო ახდენს ევროკომისიისთვის ანგარიშის წარდგენას კანონმდებლობის დაახლოებასთან დაკავშირებით, ყოველთვის ვაწვდით ინფორმაციას იმის თაობაზე თუ როდის მოხდება დაახლოვებული კანონმდებლობის ამოქმედება. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკომისია ადასტურებდა საქართველოს მიერ ვალდებულებების შესრულებას. გარდა ამისა, კანონმდებლობის დაახლოვება SPS სფეროში იყო ერთ-ერთი საფუძველი საბიუჯეტო დახმარებისთვის, დღემდე ამ კომპონენტის შეუსრულებლობის გამო რაიმე შეფერხება არ ყოფილა.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ თავად ევროკავშირის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტების დამტკიცების შემდეგ ხდება გარდამავალი პერიოდის დაწესება, რათა კერძო სექტორმა და სახელმწიფო სტრუქტურებმა მოასწრონ მომზადება ახალი მოთხოვნების შესრულებისთვის.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

დანართი №1

ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

<p>ევროკავშირის სამართლებრივი აქტი</p> <p>2003 წლის 22 სექტემბრის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) No 1831/2003 რეგულაცია ცხოველის კვებაში დანამატების გამოყენების თაობაზე.</p>		<p>საქართველოს ნორმატიული აქტის / აქტების პროექტი / პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი / აქტები, არსებობის შემთხვევაში:</p> <p>№1 საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი - „ცხოველთა კვებაში გამოსაყენებელი ცხოველის საკვები დანამატების წესის დამტკიცების შესახებ“</p> <p>შესაბამისობა:</p> <p>სშ – სრულად შესაბამისი ნშ – ნაწილობრივ შესაბამისი შ – შეუსაბამო ას – არასავალდებულო</p>				
1	2	3	4	5	6	7
მუხლი ან ნაწილი	ნორმის ტექსტი	№ 1	მუხლი ან პუნქტი (ნაწილი)	ნორმის ტექსტი	შესაბამისობა	შენიშვნები
1.1	წინამდებარე რეგულაციის მიზანია თანამეგობრობის ტერიტორიაზე საკვებდანამატების ბაზარზე განთავსების		1.1	ცხოველთა კვებაში გამოსაყენებელი ცხოველის საკვები დანამატების წესი“ (შემდეგში - წესი) ადგენს ადამიანის ჯანმრთელობის, ცხოველთა	სშ	

	<p>აღიარებისა და გამოყენებისთვის პროცედურების დადგენა, საკვებდანამატებისა და პრემიქსების ზედამხედველობისა და ეტიკეტირების წესების შემუშავება, რომლის მიზანია ადამიანის ჯანმრთელობის, ცხოველების ჯანმრთელობის და კეთილდღეობის, გარემოს, და მომხმარებელთა დაცვის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა ცხოველთა საკვებდანამატებთან მიმართებაში, და ამავე დროს შიდა ბაზრის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა.</p>			<p>ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, გარემოს, მომხმარებლისა და გამოყენებლების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, ცხოველთა კვებაში გამოსაყენებელი ცხოველის საკვები დანამატებისა და პრემიქსების გამოყენებისა და ბაზარზე განთავსების, ასევე ეტიკეტირებისა და ზედამხედველობის წესებს.</p>		
1.2	<p>ეს რეგულაცია არ ვრცელდება:</p> <p>(ა) დამხმარე ტექნოლოგიურ დანამატებზე;</p> <p>(ბ) ვეტერინარულ სამკურნალო საშუალებებზე, როგორც ეს განსაზღვრულია 2001/82 / EC დირექტივაში, გარდა კოკციდიოსტატებისა და ჰისტო მონოსტატებისა, რომლებიც გამოიყენება საკვების დანამატებად.</p>	№ 1	1.2	<p>ეს წესი არ გამოიყენება:</p> <p>ა) ტექნოლოგიური დანამატების მიმართ;</p> <p>ბ) „ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაციის, წარმოებისა და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 თებერვლის N112 დადგენილების შესაბამისად განმარტებულ ვეტერინარულ პრეპარატზე, გარდა ცხოველის საკვებ დანამატებად გამოყენებულ კოკციდიოსტატიკებისა და ჰისტომონოსტატებისა.</p>	სშ	
2.1	<p>ამ რეგულაციის მიზნებისთვის გამოიყენება (EC) No 178/2002 რეგულაციაში განსაზღვრული შემდეგი განმარტებები: "ცხოველის საკვები", „ცხოველის საკვები პროდუქტები“, "ცხოველის საკვების ბიზნესი", "ცხოველის საკვების ბიზნესის ოპერატორი", "ბაზარზე განთავსება" და "მიკვლევადობა".</p>	№ 1	2.1	<p>ა) ცხოველის საკვები - ნებისმიერი სუბსტანცია (ნივთიერება) ან პროდუქტი, მათ შორის ცხოველის საკვები დანამატები, გადამუშავებული, ნაწილობრივ გადამუშავებული ან გადაუმუშავებელი, რომელიც გამიზნულია ცხოველის ორალური კვებისათვის;</p>	სშ	

				<p>გ) ცხოველის საკვებთან დაკავშირებული საქმიანობა - ნებისმიერი საქმიანობა, მოგებით თუ მოგების გარეშე, კერძო ან საჯარო, რომელიც დაკავშირებულია ცხოველის საკვების წარმოების, გადამამუშავების, შენახვის, ტრანსპორტირების ან დისტრიბუციის ნებისმიერ ოპერაციასთან, მათ შორის ცხოველის საკვების ნებისმიერი მწარმოებელი, გადამამუშავებელი ან შემნახველი, რომელიც თავის სადგომში კვებავს ცხოველებს;</p> <p>დ) ცხოველის საკვების ბიზნესოპერატორი - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც პასუხისმგებელია უზრუნველყოს მის კონტროლს დაქვემდებარებული ცხოველის საკვებთან დაკავშირებული საქმიანობის ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა;</p> <p>ე) ბაზარზე განთავსება - ბიზნესოპერატორის მიერ ცხოველის საკვების რეალიზაციის მიზნით განთავსება, მათ შორის, გაყიდვის ან სხვა ფორმით გადაცემის შეთავაზება, სასყიდლით ან უსასყიდლოდ მიწოდება, რეალიზაცია, დისტრიბუცია და სხვა ფორმით მიწოდება;</p> <p>ვ) მიკვლევადობა - ცხოველის საკვების, მასში გამოსაყენებლად განკუთვნილი ან სავარაუდოდ გამოყენებული ნებისმიერი ნივთიერების, შესახებ მონაცემებისა და ინფორმაციის დადგენის შესაძლებლობა მათი წარმოების, გადამამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე;</p>		
--	--	--	--	--	--	--

2.2	<p>ასევე გამოიყენება შემდეგი განმარტებები:</p> <p>(a) "ცხოველის საკვების დანამატები" - ნივთიერებები, მიკროორგანიზმები ან პრეპარატები, გარდა ცხოველის საკვების მასალებისა და ნარევისა, რომლებიც შეგნებულად ემატება ცხოველის საკვებსა და წყალს სხვადასხვა ფუნქციის, კერძოდ, მე-5(3) მუხლში მოხსენიებული ერთი ან მეტი ფუნქციის შესასრულებლად.</p> <p>(b) „ცხოველის საკვები ნივთიერებები“ - პროდუქტები, რომლებიც განსაზღვრულია საბჭოს 1996 წლის 29 აპრილის 96/25/EC დირექტივის 2(a) მუხლში.</p> <p>(c) „კომბინირებული საკვები პროდუქტები“ - პროდუქტები, რომლებიც განსაზღვრულია 79/373/EEC დირექტივის 2(b) მუხლში.</p> <p>(d) „ცხოველის დამატებითი</p>	№ 1	2.1	<p>ამ წესის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს, აქვს შემდეგი მნიშვნელობა:</p> <p>ზ) ცხოველის საკვები დანამატები - ნივთიერებები, მიკროორგანიზმები ან პრეპარატები, გარდა ცხოველის საკვების მასალებისა და პრემიქსებისა, რომლებიც გამოიზნულად ემატება ცხოველის საკვებსა ან/და წყალს სხვადასხვა ფუნქციის, კერძოდ, ამ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ერთი ან მეტი ფუნქციის შესასრულებლად;</p> <p>თ) ცხოველის საკვების მასალა - მცენარეული ან ცხოველური წარმოშობის ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი, ახალი ან დაკონსერვებული და საწარმოო გადამამუშავებიდან მიღებული პროდუქტი, ორგანული ან არაორგანული სუბსტანცია (ნივთიერება), მასში ცხოველის საკვები დანამატების შემცველობის მიუხედავად, რომელიც გამოიზნულია ცხოველის ორალურ კვებაში გამოსაყენებლად, რათა დაკმაყოფილდეს ცხოველის ბუნებრივი მოთხოვნილება უშუალოდ ასეთი საკვებით, ან მათი გადამამუშავების შემდეგ ან კომბინირებული საკვების მომზადებით ან პრემიქსების გადამტანით;</p> <p>ი) ცხოველის კომბინირებული საკვები - ცხოველის საკვების მასალის არანაკლებ ორი შენარევი (მიუხედავად მასში ცხოველის საკვები დანამატების შემცველობისა), რომელიც გამოიყენება ცხოველის ორალურ კვებაში სრულყოფილი (დაბალანსებული) ან დამატებითი საკვების სახით;</p>	სშ	

16.1	<p>ცხოველის საკვების დანამატის ან დანამატების პრემიქსის ბაზარზე განთავსება მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, თუ მისი შეფუთვა ან ტარა ეტიკეტირებულია თანამეგობრობაში დაფუძნებული მწარმოებლის, დამფასოებლის, იმპორტიორის, გამყიდველის ან დისტრიბუტორის პასუხისმგებლობით და მასალის თითოეულ დანამატთან მიმართებაში მოიცავს ქვემოთ მითითებულ ინფორმაციას, რომელიც არის თვალსაჩინო, ნათლად იკითხება, შეუძლებელია წაშლა და მოცემულია იმ წევრი ქვეყნის მინიმუმ ერთ ენაზე ან ენებზე, რომელშიც ეს პროდუქტი განთავსებულია ბაზარზე:</p> <p>(ა) სპეციფიკური სახელწოდება, რომელიც მინიჭებული აქვს აღიარების შემდეგ, რომელსაც წინ უსწრებს ფუნქციური ჯგუფის სახელი, როგორც ეს</p>	№ 1	6.1	<p>დაუშვებელია ბაზარზე ცხოველის საკვები დანამატის ან საკვები დანამატების პრემიქსის განთავსება, თუ მისი შეფუთვა ან კონტეინერი არ არის ეტიკეტირებული მწარმოებლის, შემფუთავის, იმპორტიორის, გამყიდველის ან დისტრიბუტორის პასუხისმგებლობით და არ არის დემონსტრირებული ქართულ ენაზე თვალსაჩინო ადგილას შემდეგი ინფორმაცია, რომელიც ნათლად იკითხება და ადვილად არ იშლება მასალის შემადგენლობაში შემავალ თითოეულ დანამატთან მიმართებაში:</p> <p>ა) სპეციფიკური დასახელება, რომელიც ენიჭება ცხოველის საკვებ დანამატს ავტორიზაციის საფუძველზე, წინ უძღვის ფუნქციური ჯგუფის დასახელებას, როგორც ეს ავტორიზაციაშია ნახსენები;</p> <p>ბ) პირის სახელი/საფირმო დასახელება და მისამართი ან საქმიანობის განმახორციელებელი</p>	სშ	

	<p>მითითებულია აღიარებაში;</p> <p>(b) იმ პირის სახელი, ან ბიზნეს სახელი და მისამართი ან საქმიანობის რეგისტრირებული ადგილი, რომელიც პასუხისმგებელია ამ მუხლში მითითებულ ინფორმაციაზე;</p> <p>(c) სუფთა წონა ან, თხევადი დანამატების და პრემიქსების შემთხვევაში, სუფთა მოცულობა ან სუფთა წონა;</p> <p>(d) საჭიროების შემთხვევაში, 2005 წლის 12 იანვრის ევროპარლამენტისა და საბჭოს ცხოველის საკვების ჰიგიენის შესახებ (EC) No183/2005 რეგულაციის მე -10 მუხლის ან, საჭიროების შემთხვევაში, 95/69/EC დირექტივის მე-5 მუხლის შესაბამისად ცხოველის საკვები დანამატის ან პრემიქსის მწარმოებელი ან ბაზარზე განმათავსებელი დაწესებულების დადასტურების ნომერი.</p> <p>(e) გამოყენების მითითებები და უსაფრთხოების რეკომენდაციები გამოყენებისთვის და, საჭიროების შემთხვევაში, აღიარებაში მითითებული სპეციფიკური მოთხოვნები, მათ შორის ცხოველთა სახეობები და კატეგორიები, რომელთათვისაც განკუთვნილია დანამატი ან დანამატების პრემიქსები;</p> <p>(f) საიდენტიფიკაციო ნომერი;</p> <p>(g) რეფერენს კოდი და წარმოების თარიღი.</p>			<p>პირის იურიდიული მისამართი, რომელიც პასუხისმგებელია ამ მუხლში მოცემულ დეტალებზე;</p> <p>გ) სუფთა წონა ან თხევადი ცხოველის საკვები დანამატისა და პრემიქსის შემთხვევაში, სუფთა მოცულობა ან წონა;</p> <p>დ) საჭიროების შემთხვევაში, აღიარების ნომერი, რომელიც მინიჭებული აქვს ცხოველის საკვები დანამატის ან პრემიქსის მწარმოებელს ან ბაზარზე განმათავსებელს „ცხოველის საკვების ჰიგიენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის N173 დადგენილების შესაბამისად ან სარეგისტრაციო ნომერი;</p> <p>ე) გამოყენების ინსტრუქციები და ნებისმიერი უსაფრთხოების რეკომენდაციები გამოყენების შესახებ და, საჭიროების შემთხვევაში, ავტორიზაციაში მითითებული სპეციფიკური მოთხოვნები, მათ შორის ცხოველთა სახეობები და კატეგორიები, რომელთათვისაც გამიზნულია ცხოველის საკვები დანამატი ან დანამატების პრემიქსი;</p> <p>ვ) საიდენტიფიკაციო ნომერი;</p> <p>ზ) პარტიის ნომერი და წარმოების თარიღი;</p> <p>თ) პრემიქსების შემთხვევაში ამ პუნქტის „ბ“, „დ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება პრემიქსების შემადგენელ დანამატებზე.</p>		
--	--	--	--	---	--	--

	პრემიქსების შემთხვევაში შემადგენელი დანამატებისთვის არ ვრცელდება (b), (d), (e) და (g) პუნქტები.				
16.2	არომატული კომპონენტების შემთხვევაში, დანამატების სია შეიძლება შეიცვალოს სიტყვებით „არომატული კომპონენტების ნარევი“. ეს არ შეეხება არომატულ კომპონენტებს, რომლებიც საკვებ და სასმელ წყალში გამოყენებისას რაოდენობრივ შეზღუდვას ექვემდებარება.	№ 1	6.2	არომატიზატორებისთვის, ცხოველის საკვები დანამატების ჩამონათვალი შეიძლება შეიცვალოს სიტყვებით "არომატიზატორების ნარევი". ეს არ შეეხება არომატიზატორებს, რომლებიც რაოდენობრივ შეზღუდვას ექვემდებარება ცხოველის საკვებში და სასმელ წყალში გამოყენებისას.	სშ
16.3	1-ლი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის გარდა, საკვები დანამატის, რომელიც მიეკუთვნება III დანართში მითითებულ ფუნქციურ ჯგუფს ან III დანართში მითითებულ ფუნქციური ჯგუფის დანამატის შემცველი პრემიქსის, შეფუთვა ან ტარა უნდა მოიცავდეს ამ დანართში მითითებულ ინფორმაციას, რომელიც თვალსაჩინოდ უნდა იყოს მოცემული, ნათლად იკითხებოდეს და შეუძლებელი იყოს მისი წაშლა.	№ 1	6.3	ამ წესის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის გარდა, ამ წესის დანართი N2-ით „ეტიკეტირების სპეციალური მოთხოვნები ზოგიერთი ცხოველის საკვები დანამატებისა და პრემიქსისთვის“ განსაზღვრულ ფუნქციურ ჯგუფს მიკუთვნებული ცხოველის საკვები დანამატის შეფუთვა ან კონტეინერი უნდა შეიცავდეს ამ დანართში მითითებულ ინფორმაციას თვალსაჩინოდ ადგილას, უნდა იყოს მკაფიოდ მითითებული და არ უნდა იყოს წაშლადი.	სშ
16.4	პრემიქსების შემთხვევაში, ეტიკეტზე უნდა მიეთითოს სიტყვა „პრემიქსი“. ცხოველის საკვებ მასალების შემთხვევაში აღნიშნული უნდა იყოს გადამტანები (მატარებლები), ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 13 ივლისის ცხოველის საკვების გამოყენებისა და ბაზარზე განთავსების შესახებ No 767/2009 რეგულაციის 17(1)(e) მუხლის შესაბამისად, და თუ გადამტანის სახით წყლის გამოყენება ხდება, მითითებული უნდა იყოს პრემიქსში	№ 1	6.4	პრემიქსის შემთხვევაში, ეტიკეტზე მკაფიოდ უნდა იქნეს მითითებული სიტყვა "პრემიქსი" (შედარებით დიდი ზომის ასოებით) და დეკლარირებული უნდა იქნეს გადამტანი ნივთიერება „ცხოველის საკვების გამოყენებისა და ბაზარზე განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 თებერვლის N 58 დადგენილების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად. პრემიქსის სინესტის შემცველობა უნდა იქნეს	სშ

	წყლის შემცველობა. მთლიანობაში თითოეული შერევისთვის შეიძლება მითითებული იყოს შენახვის მხოლოდ ერთი მინიმალური ვადა; შენახვის მინიმალური ვადა განისაზღვრება მისი თითოეული კომპონენტის მინიმალური შენახვის ვადის საფუძველზე.			დეკლარირებული თუ გადამტანად გამოყენებულია წყალი. მხოლოდ შენახვის ერთი მინიმალური ვადა შეიძლება იქნეს გამოყენებული თითოეულ პრემიქსზე, როგორც ერთიანზე. ასეთი შენახვის მინიმალური ვადა უნდა დადგინდეს პრემიქსის თითოეული კომპონენტის შენახვის მინიმალური ვადის საფუძველზე.		
16.5	დანამატებისა და პრემიქსების რეალიზაცია უნდა განხორციელდეს მხოლოდ დახურულ შეფუთვებში ან დახურულ ტარაში, რომლებიც უნდა დაიხუროს ისე, რომ გახსნისას დაზიანდეს შესაკრავი და შეუძლებელი იყოს მისი ხელახალი გამოყენება.	№ 1	6.5	ცხოველის საკვები დანამატისა და პრემიქსის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს მხოლოდ დახურულ შეფუთვებში ან დახურულ ჭურჭელში/კონტეინერში/ტარაში, რომლებიც უნდა დაიხუროს ისე, რომ გახსნისას შესაკრავი დაზიანდეს და შეუძლებელი იქნეს მისი ხელახალი გამოყენება.	სშ	
16.6	კომისია უფლებამოსილია მიიღოს დელეგირებული აქტები 21a მუხლის შესაბამისად, რომელსაც ცვლილებები შეაქვს III დანართში, ტექნოლოგიური პროგრესის და სამეცნიერო განვითარების გათვალისწინების მიზნით.	№ 1	6.6	ტექნოლოგიური წინსვლისა და სამეცნიერო განვითარების გათვალისწინების შესაბამისად შეიძლება ცვლილებები იქნეს შეტანილი ამ წესის დანართ N2-ში.	სშ	
17.1	კომისიამ უნდა დაადგინოს და განაახლოს ცხოველის საკვების დანამატების თანამეგობრობის რეესტრი.				ას	კომისიის საქმიანობას არარიუსული

						ვან ტუ რი საქ არ თვე ლო სთ ვის
17.2	რეესტრი ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის.	№ 1	7.1	ცხოველის საკვები დანამატების რეესტრი ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: https://ec.europa.eu/food/safety/animal-feed/feed-additives/eu-register_en	სშ	
18	<p>განმცხადებელს შეუძლია მიუთითოს ამ რეგულაციის შესაბამისად წარდგენილი რომელი ინფორმაცია სურს, რომ კონფიდენციალურად იყოს განხილული იმის გამო, რომ მისმა გამოქვეყნებამ შეიძლება მნიშვნელოვნად დააზიანოს მისი კონკურენტული მდგომარეობა. ასეთ შემთხვევებში წარმოდგენილი უნდა იყოს დასაბუთებული მიზეზები.</p> <p>კომისიამ განმცხადებელთან კონსულტაციის შემდეგ უნდა განსაზღვროს, მე-3 პუნქტში მითითებული ინფორმაციის გარდა, თუ რომელი სხვა ინფორმაცია უნდა იყოს კონფიდენციალური და უნდა აცნობოს განმცხადებელს მისი გადაწყვეტილების შესახებ.</p> <p>რეგულაციის (EC) No 178/2002 39-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტში მითითებული ჩამოთვლილ</p>				ას	კომ ისი ის საქ მია ნობ ა არ არი ს რე ლე ვან ტუ რი საქ არ თვე ლო სთ ვის

	<p>ინფორმაციასთან ერთად და ამავე მუხლიდ მე-3 პუნქტის შესაბამისად, უფლებამოსილ ორგანოს ასევე შეუძლია კონფიდენციალურობა გამოიჩინოს შემდეგი ინფორმაციის მიმართ, როდესაც განმცხადებელის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამჟღავნება საფრთხეს შეუქმნის:</p> <p>(a) საკვები დანამატის ეფექტურობის შესახებ ჩატარებული კვლევის გეგმა, რომელიც წინამდებარე დებულების მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით და I დანართით განსაზღვრული მიზნობრივი გამოყენების; და</p> <p>(b) აქტიური ნივთიერების მინარევების სპეციფიკაციები და განმცხადებლის მიერ შინაგანად შემუშავებული ანალიზის შესაბამისი მეთოდები, გარდა მინარევებისა, რომლებმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინონ ცხოველების ჯანმრთელობაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე ან გარემოზე</p> <p>ეს მუხლი შესაბამისობაშია (EC) No 178/2002 რეგულაციასის 41 მუხლთან</p>					
19	<p>ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომლის მიღების უფლებამოსილებას უფლებამოსილ ორგანოს ეს რეგულაცია ანიჭებს, ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ ამ რეგულაციით მინიჭებული უფლებამოსილებების შეუსრულებლობა, შესაძლებელია კომისიამ განიხილოს</p>				ას	კომისიის საქმია ნობ აარი

	<p>საკუთარი ინიციატივით ან წევრი სახელმწიფოს ან პირდაპირ და ინდივიდუალურად დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე.</p> <p>ამ მიზნით, კომისიას უნდა წარედგინოს თხოვნა ორი თვის განმავლობაში იმ დღის შემდეგ, როდესაც დაინტერესებულმა მხარემ შეიტყო განსახილველი მოქმედების ან უმოქმედობის შესახებ.</p> <p>კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას ორი თვის განმავლობაში, საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილ ორგანოს მოსთხოვს გადაწყვეტილების გაუქმებას ან უფლებამოსილების შეუსრულებლობის გამოსწორებას დადგენილ ვადაში.</p>					ს რე ლე ვან ტუ რი საქ არ თვე ლო სთ ვის
20	<p>სამეცნიერო მონაცემები და განაცხადის დოსიეს სხვა ინფორმაცია, რომელიც მოთხოვილია მე -7 მუხლის შესაბამისად, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა განმცხადებლის სასარგებლოდ აღიარების დღიდან 10 წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა განმცხადებელი შეუთანხმდა წინა განმცხადებელს ამ მონაცემების და ინფორმაციის გამოყენების შესახებ.</p> <p>მეორეხარისხოვანი სახეობებისთვის საკვები დანამატების გამოყენების აღიარების მოპოვების პროცესის ხელის შეწყობის მიზნით, როდესაც ეს საკვები დანამატები უკვე აღიარებულია სხვა სახეობებისთვის, მონაცემთა დაცვის 10-წლიანი ვადა ერთი წლით გაგრძელდება თითოეული</p>				ას	კომ ისი ის საქ მია ნობ ა არ არი ს რე ლე ვან ტუ რი საქ არ თვე

	<p>მეორეხარისხოვანი სახეობის შემთხვევაში, რომლისთვისაც გაცემულია აღიარების გამოყენების გაფართოების ნებართვა.</p> <p>განმცხადებელმა და წინა განმცხადებელმა უნდა მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა ინფორმაციის გამოყენების გაზიარების შესახებ შეთანხმების მისაღწევად, რათა თავიდან აირიდონ ხერხემლიან ცხოველებზე ტოქსიკოლოგიური ტესტების განმეორებით ჩატარება. თუკი ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით ასეთი შეთანხმება არ იქნა მიღწეული, კომისიას შეუძლია გადაწყვიტოს გამოაქვეყნოს საჭირო ინფორმაცია ხერხემლიან ცხოველებზე ტოქსიკოლოგიური ტესტების გამეორების თავიდან აცილების მიზნით, და ამავე დროს უზრუნველყოს გონივრული ბალანსი მხარეების ინტერესებს შორის.</p> <p>10 წლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია სხვა განმცხადებლის სასარგებლოდ გამოიყენოს ყველა შეფასების ან ზოგიერთი მათგანის შედეგები, რომლებიც განხორციელდა სამეცნიერო მონაცემებისა და ინფორმაციის საფუძველზე და ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს განაცხადის დოსიე.</p>					ლო სთ ვის
21	<p>თანამეგობრობის რეფერენს ლაბორატორია და მისი მოვალეობები და ამოცანები მითითებულია II დანართში.</p> <p>დანამატების აღიარებისთვის განმცხადებლებმა უნდა განახორციელონ</p>				ას	რე ფე რენ ს ლა ბო რა

	<p>თანამეგობრობის რეფერენს ლაბორატორიისა და II დანართში აღნიშნული ეროვნული რეფერენს ლაბორატორიების კონსორციუმის მიერ განხორციელებული სერვისების სუბსიდირება.</p> <p>II დანართის განხორციელების დეტალური წესების მიღება უნდა მოხდეს 22 (2) მუხლში მითითებული მარეგულირებელი პროცედურის შესაბამისად.</p> <p>კომისია უფლებამოსილია მიიღოს დელეგირებული აქტები 21a დანართის შესაბამისად, რომელსაც ცვლილება შეაქვს II დანართში.</p>				<p>ტო რი ის საქ მია ნობ ები არ არი ს რე ლე ვან ტუ რი საქ არ თვე ლო სთ ვის , ვინ აი დან რე ფე რენ ს ლა ბო რა ტო რიე ბი</p>
--	--	--	--	--	---

						წარ მოა დგ ენე ნ ევრ ოკა ვში რის წევ რი ქვე ყნე ბის ლა ბო რა ტო რიე ბს და მათ აქვ თ ტავ იან თი ში და პრ ოცე დუ რებ ი.
--	--	--	--	--	--	--

21.a	<p>დელეგირებული აქტების მიღების უფლებამოსილება კომისიას ენიჭება ამ მუხლით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.</p> <p>დელეგირებული აქტების მიღების უფლებამოსილება, რომლებიც მითითებულია მე -3(5), მე-6(3), მე-7(5), მე-16(6) და 21-ე მუხლებში, უნდა მიენიჭოს კომისიას ხუთი წლის ვადით 2019 წლის 26 ივლისიდან. კომისიამ უფლებამოსილების დელეგირების შესახებ უნდა შეადგინოს ანგარიში ხუთწლიანი პერიოდის დასრულებამდე არა უგვიანეს ცხრა თვით ადრე. უფლებამოსილების დელეგირება ავტომატურად გაგრძელდება იდენტური ხანგრძლივობის პერიოდებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ევროპარლამენტი ან საბჭო შეეწინააღმდეგებიან ამ ვადის გაგრძელებას არა უგვიანეს სამი თვით ადრე მოცემული პერიოდის დამთავრებამდე.</p> <p>უფლებამოსილების დელეგირება, რომელიც მითითებულია მე -3(5), მე-6(3), მე-7(5), მე-16(6) და 21-ე მუხლებში შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს ევროპარლამენტის ან საბჭოს მიერ. გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება წყვეტს ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრული უფლებამოსილების გადაცემას. იგი ძალაში შევა ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომდევნო დღეს ან მასში მითითებულ უფრო გვიან თარიღზე. ამან არ უნდა მოახდინოს გავლენა მოქმედი დელეგირებული აქტების მოქმედებაზე.</p>				ას	კომისიის საქმიანობა არ არის რეგულვანტური საქართველოს
------	--	--	--	--	----	--

	<p>დელეგირებული აქტის მიღებამდე კომისიამ კონსულტაცია უნდა გაიაროს ესპერტებთან, რომლებიც დანიშნულია თითოეული წევრი ქვეყნის მიერ 2016 წლის 13 აპრილის უკეთესი კანონმდებლობის შექმნის შესახებ ინტერინსტიტუციონალური ხელშეკრულების წესების შესაბამისად.</p> <p>დელეგირებული აქტის მიღებისთანავე კომისიამ ამის შესახებ ერთდოულად უნდა აცნობოს ევროპარლამენტს და საბჭოს.</p> <p>მე-3(5), მე-6(3), მე-7(5), მე-16(6) და 21-ე მუხლების შესაბამისად მიღებული დელეგირებული აქტები ძალაში შევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწინააღმდეგო მოსაზრებას არ გამოთქვამენ ევროპარლამენტი ან საბჭო ამ აქტის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ორი თვის ვადაში, ან თუ ამ პერიოდის ამოწურვამდე ევროპარლამენტი და საბჭო აცნობებენ კომისიას, რომ ისინი წინააღმდეგი არ არიან. ევროპარლამენტის ან საბჭოს ინიციატივით ეს ვადა ორი თვით უნდა გაგრძელდეს.</p>					
22	<p>კომისიას ეხმარება კვებითი ჯაჭვისა და ცხოველთა ჯანმრთელობის მუდმივმოქმედი კომიტეტი, რომელიც შექმნილია No 178/2002 EC რეგულაციის 58-ე მუხლით (შემდგომში - კომიტეტი).</p> <p>ამ მუხლის მითითებისას გამოიყენება 1999/468/EC გადაწყვეტილების მე -5 და მე -7 მუხლები, მისი მე -8 მუხლის დებულებების გათვალისწინებით.</p> <p>1999/468/EC გადაწყვეტილების მე-5(6)</p>				ას	კომ იტე ტი ს საქ მია ნობ ა და პრ

	<p>მუხლით განსაზღვრული ვადა განისაზღვრება სამი თვით.</p>					<p>ოცე დუ რეზ ი არ არი ს რე ლე ვან ტუ რი საქ არ თვე ლო სთ ვის</p>
23	<p>დირექტივა 70/524/EEC ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს ამ რეგულაციის გამოყენების დღიდან. თუმცა, 70/524 / EEC დირექტივის მე -16 მუხლი ძალაში რჩება 79/373 / EEC დირექტივის შეცვლამდე; ამ ცვლილების მიზანიადირექტივაში დანამატებს შემცველი ცხოველის საკვები პროდუქტისთვის ეტიკეტირების წესების შეტანა.</p> <p>82/471 / EEC დირექტივის დანართის 2.1, 3 და 4 პუნქტები ამოღებულ უნდა იქნეს ამ რეგულაციის გამოყენების დღიდან.</p> <p>87/153 / EEC დირექტივა ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს ამ</p>				ას	<p>ევრ ოკა ვში რის დი რექ ტი ვებ შ ცვ ლი ლებ ი საქ არ თვე</p>

	<p>რეგულაციის გამოყენების დღიდან. ამასთან, ამ დირექტივის დანართი ძალაშია ამ რეგულაციის მე -7(4) მუხლით გათვალისწინებული განმახორციელებელი წესების მიღებამდე.</p> <p>70/524 / EEC დირექტივის მითითება ნიშნავს ამ რეგულაციის მითითებას.</p>					ლო სთ ვის რე ლე ვან ტუ რი არ არი ს
24	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ საჯარიმო წესები ამ დებულების დარღვევის შემთხვევაში და მიიღონ ყველა საჭირო ზომა მათი შესრულების უზრუნველსაყოფად. გათვალისწინებული ჯარიმები უნდა იყოს ეფექტიანი, თანაზომიერი და გადამწყვეტი.</p> <p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აცნობონ კომისიას ამ წესებისა და ზომების შესახებ არა უგვიანეს 12 თვის შემდეგ ამ რეგულაციის გამოქვეყნების დღიდან და დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ნებისმიერი მომდევნო ცვლილებების შესახებ, რომელიც მათზე ზეგავლენას ახდენს.</p>				ას	მუხ ლი ს მოქ მე დე ბა ვრც ელ დე ბა ევრ ოკა ვში რის წევ რ სახ ელ მწი ფო ებუ ე

25	<p>განაცხადები, რომლებიც წარდგენილია 70/524 / EEC დირექტივის მე-4 მუხლის შესაბამისად ამ რეგულაციის გამოყენების თარიღამდე, განხილული უნდა იყოს მე-7 მუხლის შესაბამისად, თუ 70/524 დირექტივის მე -4(4) მუხლით გათვალისწინებული პირველადი კომენტარები ჯერ არ არის გაგზავნილი კომისიისთვის. ნებისმიერმა წევრმა სახელმწიფომ, რომელიც ნებისმიერი ასეთი განაცხადის შემთხვევაში შეირჩევა მომხსენებლად, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს კომისიას დოსიე, რომელიც წარმოდგენილია ამ განაცხადის გასამყარებლად. 23 (1) მუხლის მიუხედავად, ასეთი განაცხადების განხილვა გაგრძელდება 70/524 / EEC დირექტივის მე -4 მუხლის შესაბამისად, თუ 70/524 / EEC დირექტივის მე -4(4) მუხლით გათვალისწინებული პირველადი კომენტარები უკვე გაგზავნილია კომისიისთვის.</p> <p>III თავში განსაზღვრული ეტიკეტირების მოთხოვნები არ ვრცელდება იმ პროდუქტებზე, რომლებიც კანონიერად არის დამზადებული და ეტიკეტირებული თანამეგობრობის ტერიტორიაზე ან რომლებიც კანონიერად არის შემოტანილი თანამეგობრობის ტერიტორიაზე და გაშვებულია მიმოქცევაში ამ რეგულაციის გამოყენების დღემდე.</p>				ას	ევროკავშირის დირექტივები არ მიემართება საქართველოს
26	<p>წინამდებარე რეგულაცია ძალაში შედის მისი ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებიდან მეოცე დღეს.</p> <p>იგი გამოიყენება ამ რეგულაციის</p>				ას	მუხლის მოქმე

	<p>დაბეჭდიდან 12 თვის შემდეგ.</p> <p>წინამდებარე რეგულაცია მთლიანად სავალდებულოა და ის უშუალოდ ვრცელდება წევრ სახელმწიფოებზე.</p>					<p>დე ბა ვრც ელ დე ბა ევრ ოკა ვში რის წევ რ სახ ელ მწი ფო ებზე</p>
<p>დანართი I</p>	<p>1. „<i>ტექნოლოგიური დანამატების</i>“ კატეგორიაში შედის შემდეგი ფუნქციური ჯგუფები:</p> <p>(a) კონსერვანტები: ნივთიერებები ან, შესაძლებელია, მიკროორგანიზმები, რომლებიც იცავს საკვებს მიკროორგანიზმებით ან მათი მეტაბოლიტებით გამოწვეული გაფუჭებისგან;</p> <p>(b) ანტიოქსიდანტები: ნივთიერებები, რომლებიც იცავს ცხოველის საკვებსა და საკვებ მასალებს ჟანგვითი პროცესებით გამოწვეული გაფუჭებისგან და ახანგრძლივებს მათ ვარგისიანობის ვადას;</p>	<p>№ 1</p>	<p>დანართი 1 1.1</p>	<p>ა) კონსერვანტი: ნივთიერება ან, საჭიროების შემთხვევაში, მიკროორგანიზმები, რომელიც იცავს ცხოველის საკვებს მიკროორგანიზმების ან მათი მეტაბოლიტებით გამოწვეული გაფუჭებისაგან;</p> <p>ბ) ანტიოქსიდანტები: ნივთიერება, რომელიც იცავს ცხოველის საკვებს და ცხოველის საკვების მასალას ჟანგვითი პროცესებით გამოწვეული გაფუჭებისაგან და ახანგრძლივებს მისი ვარგისიანობის ვადას;</p> <p>გ) ემულგატორები: ნივთიერება, რომლის საშუალებით შესაძლებელია ჰომოგენური ნარევის წარმოქმნა ან შენარჩუნება ორი ან მეტი ისეთი ფაზისაგან, რომელთა შერევა არ ხდება;</p>	<p>სშ</p>	

	<p>(c) ემულგატორები: ნივთიერებები, რომელთა საშუალებით შესაძლებელია ჰომოგენური ნარევის წარმოქმნა ან შენარჩუნება საკვებში ორი ან მეტი ისეთი ფაზისგან, რომელთა შერევა არ ხდება;</p> <p>(d) სტაბილიზატორები: ნივთიერებები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია საკვები პროდუქტების ფიზიკურ-ქიმიური მდგომარეობის შენარჩუნება;</p> <p>(e) შემასქელებლები: ნივთიერებები, რომლებიც ზრდის საკვები პროდუქტების სიბლანტეს;</p> <p>(f) ჟელეს წარმომქმნელი აგენტები: ნივთიერებები, რომლებიც ცვლის საკვები პროდუქტის ტექსტურას ჟელეს წარმოქმნის გზით;</p> <p>(g) შემკვრელები: ნივთიერებები, რომლებიც ზრდის საკვები ნივთიერებების ნაწილაკების შეწებების უნარს;</p> <p>(h) რადიონუკლიდების კონტროლის ნივთიერებები: ნივთიერებები, რომლებიც თრგუნავენ რადიონუკლიდების შეწოვას ან ხელს უწყობენ მათ გამოყოფას;</p> <p>(i) შეკოშტვის საწინააღმდეგო საშუალებები: ნივთიერებები, რომლებიც აფერხებს საკვების ცალკეული ნაწილაკების ერთმანეთთან შეწებებას;</p>			<p>დ) სტაბილიზატორები: ნივთიერება, რომლის საშუალებით შესაძლებელია ცხოველის საკვების ქიმიური და ფიზიკური მდგომარეობის შენარჩუნება;</p> <p>ე) შემასქელებლები: ნივთიერება, რომელიც ზრდის ცხოველის საკვების სიბლანტეს;</p> <p>ვ) ჟელეს წარმომქმნელი აგენტი: ნივთიერება, რომელიც გელის (ლაბის) წარმოქმნის გამო ცხოველის საკვებს აძლევს ტექსტურას;</p> <p>ზ) შემკვრელები: ნივთიერებები, რომლებიც ზრდის ცხოველის საკვების ნაწილაკების შეწებების უნარს;</p> <p>თ) ნივთიერებები რადიონუკლიდური დაბინძურების კონტროლისთვის: ნივთიერებები, რომლებიც თრგუნავენ რადიონუკლიდების შეწოვას ან ხელს უწყობენ მათ ექსკრეციას;</p> <p>ი) შეწებების (შეკოშტვის) საწინააღმდეგო აგენტი: ნივთიერება, რომელიც აფერხებს ცხოველის საკვების ცალკეული ნაწილაკების ერთმანეთთან შეწებებას;</p> <p>კ) მჟავიანობის რეგულატორი – ნივთიერება, რომელიც არეგულირებს pH (მჟავიანობას (სიმჟავეს) ან ტუტეობას) ცხოველის საკვებში;</p> <p>ლ) სილოსის დანამატები: ნივთიერებები, მათ შორის ფერმენტები ან მიკროორგანიზმები, რომლებიც გამიზნულია ცხოველის საკვებში შესატანად, სილოსის წარმოების გასაუმჯობესებლად;</p> <p>მ) დენატურაციის გამომწვევები: ნივთიერებები, რომლებიც</p>		
--	---	--	--	--	--	--

	<p>(j) მჟავიანობის მარეგულირებელი საშუალებები: ნივთიერებები, რომლებიც არეგულირებს საკვების pH- ს;</p> <p>(k) სილოსის დანამატები: ნივთიერებები, ფერმენტების ან მიკროორგანიზმების ჩათვლით, რომლებიც განკუთვნილია საკვებში სილოსის წარმოების გასაუმჯობესებლად;</p> <p>(l) დენატურატები: ნივთიერებები, რომელთა გამოყენებისას გადამუშავებული საკვები პროდუქტების წარმოებაში შესაძლებელია კონკრეტული საკვების ან საკვები მასალების წარმოშობის იდენტიფიკაცია;</p> <p>(m) ნივთიერებები მიკოტოქსინებით საკვების დაბინძურების შესამცირებლად: ნივთიერებები, რომლებსაც შეუძლია შეაჩეროს ან შეამციროს მიკოტოქსინების შეწოვა, ხელი შეუწყოს მიკოტოქსინების გამოყოფას ან შეცვალოს მათი მოქმედება;</p> <p>(n) ჰიგიენური მდგომარეობის გამაძლიერებლები: ნივთიერებები ან, შესაძლებელია, მიკროორგანიზმები, რომლებიც დადებითად მოქმედებს საკვების ჰიგიენურ მახასიათებლებზე სპეციფიკური მიკრობიოლოგიური დაბინძურების შემცირების გზით;</p> <p>(o) სხვა ტექნოლოგიური დანამატები: ნივთიერებები ან, შესაძლებელია, მიკროორგანიზმები, რომლებიც საკვებს</p>			<p>გადამუშავებული ცხოველის საკვების წარმოებაში გამოყენებისას, კონკრეტული სურსათის ან ცხოველის საკვების მასალის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა;</p> <p>ნ) ნივთიერებები ცხოველის საკვების მიკოტოქსინებით დაბინძურების შემცირებისათვის: ნივთიერებები, რომელთაც შეუძლიათ შეწოვის შესუსტება ან შემცირება, ხელი შეუწყონ მიკოტოქსინების ექსკრეციას ან მათი მოქმედების რეჟიმის შეცვლას;</p> <p>ო) ჰიგიენის მდგომარეობის გასაუმჯობესებლები: ნივთიერებები ან, საჭიროების შემთხვევაში მიკროორგანიზმები, რომლებიც დადებით გავლენას ახდენენ ცხოველის საკვების ჰიგიენურ მახასიათებლებზე, კონკრეტული მიკრობიოლოგიური დაბინძურების შემცირებით;</p> <p>პ) სხვა ტექნოლოგიური დანამატები: ნივთიერებები ან საჭიროების შემთხვევაში მიკროორგანიზმები, რომლებიც ტექნოლოგიური მიზნებისათვის ემატება ცხოველის საკვებს და დადებითად მოქმედებს ცხოველის საკვების მახასიათებლებზე.</p>		
--	---	--	--	---	--	--

	<p>ემატება ტექნოლოგიური მიზნებისთვის და რომლებიც დადებით გავლენას ახდენს საკვების მახასიათებლებზე.</p>				
<p>დანართი I</p>	<p>2 კატეგორიაში "სენსორული დანამატები" შედის შემდეგი ფუნქციური ჯგუფები:</p> <p>(a) საღებავები;</p> <p>(i) ნივთიერებები, რომლებიც ანიჭებს ან აღადგენს ფერს საკვებში;</p> <p>(ii) ნივთიერებები, რომლებიც, ცხოველის საკვებში დამატების შემთხვევაში, ანიჭებს ფერს ცხოველური წარმოშობის სურსათს;</p> <p>(iii) ნივთიერებები, რომლებიც დადებითად მოქმედებს დეკორატიული თევზისა და ფრინველის ფერზე;</p> <p>(b) არომატული კომპონენტები: ნივთიერებები, რომელთა ჩართვა საკვებ ნივთიერებებში აძლიერებს საკვების სუნს ან გემოს (არომატს).</p>	<p>№ 1</p>	<p>დანართი 1</p> <p>1.2</p>	<p>სენსორული დანამატების კატეგორია მოიცავს შემდეგ ფუნქციურ ჯგუფებს:</p> <p>ა) საღებავები:</p> <p>ა.ა) ნივთიერებები, რომლებიც უმატებს(აძლიერებს) ან აღადგენს ფერს ცხოველის საკვებში;</p> <p>ა.ბ) ნივთიერება, რომლებითაც თუ კვებავენ ცხოველს, უმატებს (აძლიერებს) ცხოველური წარმოშობის სურსათის ფერს;</p> <p>ა.გ) ნივთიერება, რომელიც დადებითად მოქმედებს დეკორატიული თევზის ან ფრინველის ფერზე;</p> <p>ბ) არომატიზატორები: ნივთიერება, რომელიც აძლიერებს ცხოველის საკვების გემოს და/ან არომატს.</p>	<p>სშ</p>

<p>დანართი I</p>	<p>3. კატეგორიაში "კვებითი დანამატები" შედის შემდეგი ფუნქციური ჯგუფები:</p> <ul style="list-style-type: none"> (a) ვიტამინები, პროვიტამინები და ქიმიურად კარგად განსაზღვრულ ნივთიერებები, რომლებსაც აქვთ მსგავსი ეფექტი; (b) მიკროელემენტები; (c) ამინომჟავები, მათი მარილები და ანალოგები; (d) შარდოვანა და მისი წარმოებულები. 	<p>№ 1</p>	<p>დანართი 1</p> <p>1.3</p>	<p>ნუტრიციული (კვებითი) დანამატების კატეგორია მოიცავს შემდეგ ფუნქციურ ჯგუფებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) ვიტამინები და პროვიტამინები, ასევე ანალოგიური მოქმედების მქონე მკაფიოდ განსაზღვრული ქიმიური სტრუქტურის ნივთიერებები; ბ) კვალის ელემენტების ნაერთები; გ) ამინომჟავები, მათი მარილები და ანალოგები; დ) შარდოვანა და მისი დერივატები; 	<p>სშ</p>	
	<p>4. კატეგორიაში "ზოოტექნიკური დანამატები" შედის შემდეგი ფუნქციური ჯგუფები:</p> <ul style="list-style-type: none"> (a) საჭმლის მონელების გამაძლიერებელი აგენტები: ნივთიერებები, რომლებიც აუმჯობესებს საკვების მონელებას, სამიზნე საკვებ მასალებზე მოქმედების საშუალებით; (b) ნაწლავის ფლორის სტაბილიზატორები: მიკროორგანიზმები ან ქიმიურად განსაზღვრული სხვა ნივთიერებები, რომლებიც დადებითად მოქმედებს ნაწლავის ფლორაზე; (c) ნივთიერებები, რომლებიც დადებით გავლენას ახდენს გარემოზე; (d) სხვა ზოოტექნიკური დანამატები; 	<p>№ 1</p>	<p>სანართი 1</p> <p>1.4</p>	<p>ზოოტექნიკური დანამატების კატეგორია მოიცავს შემდეგ ფუნქციურ ჯგუფებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) მონელების გამაძლიერებლები - ნივთიერებები, რომელთაც ახასიათებთ ცხოველის საკვების მასალაზე მიზნობრივი მოქმედება და მათი გამოყენება ზრდის საკვების შეთვისებას; ბ) ნაწლავის ფლორის სტაბილიზატორები - მიკროორგანიზმები ან განსაზღვრული სტრუქტურის მქონე ნივთიერებები, რომლებიც ცხოველზე მიცემის შემთხვევაში დადებითად მოქმედებენ ცხოველის ნაწლავის მიკროფლორაზე; გ) ნივთიერებები, რომლებიც დადებითად მოქმედებენ გარემოზე; დ) სხვა ზოოტექნიკური დანამატები; ე) ფიზიოლოგიური მდგომარეობის სტაბილიზატორები: ნივთიერებები ან, საჭიროების შემთხვევაში მიკროორგანიზმები, რომლებითაც თუ ჯანმრთელ ცხოველებს კვებავენ, დადებით გავლენას ახდენს მათ ფიზიოლოგიურ 	<p>სშ</p>	

	<p>(e) ფიზიოლოგიური მდგომარეობის სტაბილიზატორები: ნივთიერებები ან, შესაძლებელია, მიკროორგანიზმები, რომლებიც დადებითად მოქმედებს ცხოველის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე, სტრესული ფაქტორებისადმი მდგრადობის ჩათვლით.</p>			<p>მდგომარეობაზე, მათ შორის, სტრესული ფაქტორების მიმართ მედეგობაზე.</p>		
<p>დანართი II</p>	<p>1. თანამეგობრობის რეფერენს ლაბორატორია (CRL), რომელიც მითითებულია 21-ე მუხლში, წარმოადგენს კომისიის ერთობლივი კვლევების ცენტრს (JRC).</p> <p>2. ამ დანართში განსაზღვრული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების მიზნით თანამეგობრობის რეფერენს ლაბორატორიას შეიძლება დაეხმაროს ეროვნული რეფერენს ლაბორატორიების კონსორციუმი.</p> <p>თანამეგობრობის რეფერენს ლაბორატორია პასუხისმგებელია შემდეგზე:</p> <p>2.1 განმცხადებლის მიერ გაგზავნილი ცხოველის საკვების დანამატის ნიმუშების მიღება და შენახვა, როგორც ეს გათვალისწინებულია მე -7(3)(f) მუხლით;</p> <p>2.2 ცხოველის საკვების დანამატის ანალიზის მეთოდისა და ანალიზის სხვა შესაბამისი მეთოდების შეფასება ცხოველის საკვების დანამატის</p>				<p>ას</p>	<p>რეფერენს ლაბორატორიის საქმიანობები არ არის რეგულირებული</p>

	<p>ალიარების განაცხადში მოცემული მონაცემების საფუძველზე, მისი ოფიციალური კონტროლისთვის შესაბამისობის მიხედვით, მე-7(4) და (5) მუხლებში მითითებული განმახორციელებელი წესებისა და უფლებამოსილი ორგანოს სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად, რომლებიც მოცემულია მე-7(6) მუხლში;</p> <p>2.3 ამ დანართში მითითებული მოვალეობებისა და ამოცანების შედეგების შესახებ შეფასების ანგარიშის წარდგენა უფლებამოსილი ორგანოსთვის;</p> <p>2.4 საჭიროების შემთხვევაში, ანალიზის მეთოდის (მეთოდების) ტესტირება.</p> <p>3. თანამეგობრობის რეფერენს ლაბორატორია პასუხისმგებელია დანამატის ანალიზის მეთოდის (ების) ვალიდაციის კოორდინაციაზე, (EC)No 378/2005 რეგულაციის მე -10 მუხლით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად. ეს ამოცანა შეიძლება მოიცავდეს ცხოველის საკვების ან ცხოველის საკვების სატესტო მასალის მომზადებას.</p> <p>4. ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) No 882/2004 რეგულაციის მე-11 და 32-ე მუხლების შეზღუდვის გარეშე, თანამეგობრობის რეფერენს ლაბორატორია უზრუნველყოფს კომისიისთვის სამეცნიერო და</p>				<p>თვე ლო სთ ვის , ვინ აი დან რე ფე რენ ს ლა ბო რა ტო რიე ბი წარ მოა დგ ენე ნ ევრ ოკა ვში რის წევ რი ქვე ყნე ბის ლა ბო რა</p>
--	--	--	--	--	---

	<p>ტექნიკურ დახმარებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც წვერი სახელმწიფოებისთვის სადავოა ამ დანართში მითითებულ მოვალეობებსა და ამოცანებთან დაკავშირებული ანალიზის შედეგები.</p> <p>5. ასევე, კომისიის მოთხოვნით, თანამეგობრობის რეფერენს ლაბორატორია შეიძლება პასუხისმგებელი იყოს სპეციალური ანალიტიკური ან მასთან დაკავშირებული სხვა კვლევების ჩატარებაზე, თუ ეს პასუხისმგებლობა მე -2 პუნქტში მითითებული მოვალეობებისა და ამოცანების მსგავსია. ამას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს, კერძოდ, არსებული პროდუქტების შემთხვევაში, როდესაც შეტყობინება გაგზავნილია მე -10 მუხლის შესაბამისად და შეტანილია რეესტრში და იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც აღიარების განაცხადი წარდგენილია მე -10(2) მუხლის შესაბამისად.</p> <p>6. თანამეგობრობის რეფერენს ლაბორატორია პასუხისმგებელია ეროვნული რეფერენს ლაბორატორიების კონსორციუმის კოორდინაციაზე. თანამეგობრობის რეფერენს ლაბორატორიამ უნდა უზრუნველყოს, რომ განაცხადების შესახებ შესაბამისი ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს ლაბორატორიებისთვის.</p>				<p>ტო რიე ბს და მათ აქვ თ ტავ იან თი ში და პრ ოცე დუ რებ ი.</p>
--	--	--	--	--	---

	<p>7. თანამეგობრობის რეფერენს ლაბორატორიის პასუხისმგებლობის შეზღუდვის გარეშე, რომელიც მითითებულია (EC)No882/2004 რეგულაციის 32-ე მუხლში, თანამეგობრობის რეფერენს ლაბორატორიას შეუძლია შექმნას ანალიზის მეთოდების მონაცემთა ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება წევრი ქვეყნების ოფიციალური საკონტროლო ლაბორატორიებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის.</p>					
<p>დანართი III</p>	<p>1. ეტიკეტირების სპეციფიკური მოთხოვნები გარკვეული დანამატებისა და პრემექსებისთვის.</p> <p>(ა) ზოოტექნიკური დანამატები, კოქციდიოსტატები და ჰისტომონოსტატები:</p> <ul style="list-style-type: none"> — საგარანტიო ვადა ან ვარგისიანობის ვადა წარმოების დღიდან, — გამოყენების მითითებები და — კონცენტრაცია. <p>(ბ) ფერმენტები, ზემოთ აღნიშნულ მითითებებთან ერთად:</p> <ul style="list-style-type: none"> - აქტიური კომპონენტის ან კომპონენტების სპეციფიკური დასახელება მათი ფერმენტული აქტივობების შესაბამისად, მოცემული აღიარების შესაბამისად. - ბიოქიმიის საერთაშორისო კავშირის 	<p>№ 1</p>	<p>დანართი 2 ნაწილი I</p>	<p>ზოოტექნიკური დანამატების, კოქციდიოსტატების და ჰისტომონოსტატების შემთხვევაში ეტიკეტზე უნდა მიეთითოს:</p> <p>ა.ა) გარანტიის მოქმედების ვადა ან შენახვის ვადა წარმოების დღიდან;</p> <p>ა.ბ) მითითებები გამოყენების შესახებ;</p> <p>ა.გ) კონცენტრაცია;</p> <p>ბ) ფერმენტების შემთხვევაში, „ა“ პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად ეტიკეტზე მიეთითება:</p> <p>ბ.ა) აქტიური კომპონენტის ან კომპონენტების სპეციფიკური დასახელება მათი ფერმენტული მოქმედების შესაბამისად, გაცემული ავტორიზაციის თანახმად;</p> <p>ბ.ბ) ბიოქიმიის საერთაშორისო კავშირის საიდენტიფიკაციო ნომერი;</p> <p>ბ.გ) კონცენტრაციის ნაცვლად: აქტივობის ერთეულები (აქტივობის ერთეული გრამზე ან აქტივობის ერთეული მილილიტრზე);</p> <p>გ) მიკროორგანიზმების შემთხვევაში ეტიკეტზე უნდა მიეთითოს:</p>	<p>სშ</p>	

<p>საიდენტიფიკაციო ნომერი და</p> <ul style="list-style-type: none"> - კონცენტრაციის ნაცვლად: აქტივობის ერთეულები (აქტივობის ერთეული ერთ გრამში ან აქტივობის ერთეული ერთ მილილიტრში). (c) მიკროორგანიზმები: <ul style="list-style-type: none"> — საგარანტიო ვადა ან ვარგისიანობის ვადა წარმოების დღიდან, — გამოყენების მითითებები, — შტამის საიდენტიფიკაციო ნომერი და — კოლონიის წარმომქმნელი ერთეულების რაოდენობა 1 გრამზე გადაანგარიშებით. (d) კვებითი დანამატები: <ul style="list-style-type: none"> — აქტიური ნივთიერების დონე და — ამ დონის საგარანტიო ვადა ან ვარგისიანობის ვადა დამზადების დღიდან. (e) ტექნოლოგიური და სენსორული დანამატები არომატული კომპონენტების გარდა: <ul style="list-style-type: none"> — აქტიური ნივთიერების დონე. (f) არომატული კომპონენტები: <ul style="list-style-type: none"> — პრემიქსში დამატების მაჩვენებელი. 			<ul style="list-style-type: none"> გ.ა) გარანტიის ვადის გასვლის თარიღი ან შენახვის ვადა წარმოების დღიდან; გ.ბ) მითითებები გამოყენების შესახებ; გ.გ) შტამის საიდენტიფიკაციო ნომერი; გ.დ) კოლონიის წარმომქმნელი ერთეულების რაოდენობა გრამზე; დ) ნუტრიციული (კვებითი) დანამატები: <ul style="list-style-type: none"> დ.ა) აქტიური ნივთიერების შემცველობა; დ.ბ) ამ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემცველობის გარანტიის ან შენახვის ვადის გასვლის თარიღი წარმოების დღიდან; ე) ტექნოლოგიური და სენსორული დანამატები, გარდა არომატიზატორებისა: <ul style="list-style-type: none"> ე.ა) აქტიური ნივთიერების შემცველობა; ვ) არომატიზატორები: <ul style="list-style-type: none"> ვ.ა) პრემიქსების წილი 		
--	--	--	--	--	--

<p>დანართი III</p>	<p>2. ეტიკეტირების დამატებითი და ინფორმაციის მოთხოვნები პრეპარატების შემცველი გარკვეული დანამატების და ასეთი პრეპარატების შემცველი პრემიქსებისთვის.</p> <p>(a) დანამატები, რომლებიც მიეკუთვნებიან მე-6(1)(a), (b) მუხლში განსაზღვრულ კატეგორიებს და (c) რომლებიც შედგება პრეპარატებისგან:</p> <p>(i) შეფუთვაზე ან ტარაზე მითითებული სპეციფიკური დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი და ნებისმიერი ტექნოლოგიური დანამატის დონე, რომელსაც შეიცავს პრეპარატი, და რომლის შემცველობის მაქსიმალური დონე მითითებულია შესაბამის აღიარებაში;</p> <p>(ii) შემდეგი ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი სახით ან დართული უნდა ჰქონდეს პრეპარატს:</p> <p>- პრეპარატის შემადგენლობაში არსებული ნებისმიერი ტექნოლოგიური დანამატის სპეციფიკური სახელი და საიდენტიფიკაციო ნომერი და</p>	<p>№ 1</p>	<p>დანართი 2</p> <p>ნაწილი II</p>	<p>1. ცხოველის საკვები დანამატები, რომლებიც მიეკუთვნება ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტის და „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ კატეგორიებს და შედგება პრეპარატებისგან:</p> <p>ა) უნდა მიეთითოს სპეციფიკური დასახელება შეფუთვაზე ან კონტეინერზე, ასევე საიდენტიფიკაციო ნომერი და ნებისმიერი ტექნოლოგიური დანამატის შემცველობა (რაოდენობა), რომელიც შეიცავს პრეპარატს, რომლისთვისაც შესაბამისი ავტორიზაციით დადგენილია მაქსიმალური შემცველობა;</p> <p>ბ) თან უნდა ახლდეს პრეპარატის შესახებ ნებისმიერი წერილობითი საშუალებით შემდეგი ინფორმაცია:</p> <p>ბ.ა) სპეციფიკური დასახელება და ნებისმიერი ტექნოლოგიური დანამატის საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელსაც შეიცავს პრეპარატი;</p> <p>ბ.ბ) პრეპარატში შემავალი ნებისმიერი სხვა ნივთიერების ან პროდუქტის დასახელება, წონის კლებადობის მიხედვით.</p> <p>2. პრემიქსები, რომლებიც შეიცავს ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ცხოველის საკვებ დანამატების კატეგორიებს და შედგება პრეპარატებისგან უნდა მიეთითოს:</p> <p>ა) საჭიროების შემთხვევაში, შეფუთვაზე ან კონტეინერზე, რომ პრემიქსი შეიცავს ტექნოლოგიურ დანამატებს, რომლებიც შედის დანამატების პრეპარატებში, რომელთათვისაც მაქსიმალური</p>	<p>სშ</p>
--------------------	---	------------	-----------------------------------	---	-----------

	<p>- წონის კლებადობის მიხედვით მითითებული ნებისმიერი სხვა ნივთიერების ან პროდუქტის დასახელება, რომელიც შედის პრეპარატის შემადგენლობაში.</p> <p>(b) პრემიქსები, რომლებიც შეიცავს დანამატებს, რომლებიც მიეკუთვნება ნ(1)(a), (b) და (c) მუხლებში ჩამოთვლილ კატეგორიებს და შედგება პრეპარატებისგან:</p> <p>(i) საჭიროების შემთხვევაში, შეფუთვაზე ან ტარაზე უნდა მიეთითოს, რომ პრემიქსი შეიცავს ტექნოლოგიურ დანამატებს, რომლებსაც შეიცავს დანამატის პრეპარატები, რომელთათვისაც მაქსიმალური დონე განსაზღვრულია შესაბამის აღიარებაში;</p> <p>(ii) მომხმარებლის თხოვნის საფუძველზე, ინფორმაცია სპეციფიკური დასახელების, საიდენტიფიკაციო ნომრისა და დანამატის პრეპარატების შემადგენლობაში შემავალი ტექნოლოგიური დანამატის დონე, რომელიც აღნიშნულია ამ პუნქტის (i) ქვეპუნქტში.</p>			<p>შემცველობა განსაზღვრულია შესაბამის ავტორიზაციაში;</p> <p>ბ) შემსყიდველის ან გამომყენებლის თხოვნის საფუძველზე, ინფორმაცია კონკრეტული სახელის, საიდენტიფიკაციო ნომრის შესახებ და ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ტექნოლოგიური დანამატების, რომლებიც შედის დანამატების პრეპარატებში, შემცველობა.</p>		
--	--	--	--	---	--	--

დანართი IV	1. დანამატების რაოდენობა, რომლებიც ბუნებრივ მდგომარეობაშიც არსებობს ცხოველი გარკვეულ საკვებ მასალებში, უნდა გაანგარიშდეს ისე, რომ დამატებული ელემენტების რაოდენობისა და ბუნებრივად არსებული ელემენტების რაოდენობის ჯამი არ აღემატებოდეს აღიარების რეგულაციით განსაზღვრულ მაქსიმალურ დონეს.	№ 1	დანართი 3 3.1	ცხოველის საკვები დანამატების რაოდენობა, რომლებიც ბუნებრივ მდგომარეობაშიც არსებობს ცხოველის საკვებ ზოგიერთ მასალებში, უნდა გაანგარიშდეს ისე, რომ დამატებული ელემენტების ჯამური რაოდენობა და ბუნებრივად არსებული ელემენტები არ აღემატებოდეს ავტორიზაციის დებულებით გათვალისწინებულ მაქსიმალურ დონეს.	სშ	
დანართი IV	2. დანამატების შერევა დასაშვებია მხოლოდ იმ პრემიქსებისა და ცხოველის საკვები პროდუქტების შემთხვევაში, სადაც ნარევის კომპონენტებს შორის არსებობს ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური თავსებადობა სასურველ ზეგავლენასთან მიმართებაში.	№ 1	დანართი 3 3.2	ცხოველის საკვები დანამატების შერევა დასაშვებია მხოლოდ პრემიქსსა და ცხოველის საკვებში, სადაც ნარევის კომპონენტებს შორის არსებობს ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური თავსებადობა სასურველ ეფექტებთან მიმართებაში.	სშ	
დანართი IV	3. შესაბამისად განზავებულ ცხოველის დამატებით საკვებ პროდუქტებში დანამატების დონე არ უნდა აღემატებოდეს ცხოველის მზა საკვები პროდუქტებისთვის განსაზღვრულ დონეს	№ 1	დანართი 3 3.1	მოთხოვნის შესაბამისად განზავებული ცხოველის დამატებითი საკვები, არ შეიძლება შეიცავდეს ცხოველის საკვებ დანამატების იმ რაოდენობას, რომელიც აღემატება ცხოველის სრულყოფილ (ბალანსირებულ) საკვებისთვის დადგენილს.	სშ	

დანართი IV	4. პრემიქსების შემთხვევაში, რომლებიც შეიცავს სილოსის დანამატებს, ეტიკეტზე „სილოსის დანამატი“ ნათლად უნდა იყოს მითითებული „პრემიქსის“ შემდეგ.	№ 1	დანართი 3 3.1	პრემიქსის შემთხვევაში, რომელიც შეიცავს „სილოსის დანამატებს“ ეტიკეტზე ”პრემიქსი” - ის შემდეგ თვალსაჩინოდ უნდა დაემატოს სიტყვები ”სილოსის დანამატები”.	სშ	
დანართი IV	5. ტექნოლოგიური დანამატები ან სხვა ნივთიერებები ან პროდუქტები, რომლებიც შეიცავს პრეპარატების შემცველ დანამატებს, მხოლოდ პრეპარატის აქტიური ნივთიერების ფიზიკურ-ქიმიურ მახასიათებლებს უნდა ცვლიდეს და უნდა გამოიყენებოდეს მათი აღიარების პირობების შესაბამისად, თუ ეს პირობები არსებობს. პრეპარატის კომპონენტებს შორის უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური თავსებადობა სასურველ ეფექტებთან მიმართებაში.	№ 1	დანართი 3 3.1	ტექნოლოგიური დანამატები ან სხვა ნივთიერებები ან პროდუქტები, რომლებიც შეიცავენ ცხოველის საკვების დანამატებს, რომლებიც შედგება პრეპარატებისაგან, უნდა მოახდინოს მხოლოდ პრეპარატის აქტიური ნივთიერების ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლების მოდიფიცირება და გამოიყენებოდეს მათი ავტორიზაციის პირობების შესაბამისად, სადაც ასეთი მითითებაა მოცემული. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პრეპარატის კომპონენტებს შორის ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური თავსებადობა სასურველ ეფექტთან მიმართებაში.	სშ	